ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 9 თებერვალი, 2017 №33 (7268) ფასი: 50 თეთრი

გვ.4



## დავით ნემსაძე: „ვარჯიშის დროს ჯარისკაცი გარდაიცვალა“

9 თებერვლიდან

ნიკო ლომოური

პაწია მეგობრები



ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# „ვასილ მაღლაფერიძეს ვურჩევდი, რეფორმები ნაკლები სისხლით გაატაროს“

გვ.2



## მამუკა არეშიძე:

„საზოგადოებრივ მაუწყებელში ქირურგიული ჩარევა აუცილებელია“



## სანდრო ბრეგაძე: „ფარული ჩანაწერები ბიძინა ივანიშვილზეც არსებობს“



„დეპუტატები და მინისტრები ერთმანეთს ჩანაწერებით აშანტაჟებენ“

გვ.3



## ირმა ინაშვილი: „პარლამენტში დეპუტატებს სიტყვით გამოსვლის უფლებას არ აძლევენ“

გვ.3



## საქართველოს მთავრობა საერთაშორისო თანამეგობრობას დახმარებას სთხოვს

გვ.5

რა მიზნით ჩავიდა პუტინის თანაშემწე ცხინვალში



## პარლამენტმა მანანა კობახიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ დაამტკიცა

გვ.7

მანანა კობახიძე: „ჩემი პოლიტიკური კავშირები უკვე წარსულია“

ISSN 1987-9385



## სანდრო თვალჭრელიძე: „ეროვნული ვალუტა ქვეყნისთვის ფულზე მეტია“

სხვა ვალუტაზე ოპერირებას საერთოდ ავკრძალავდი“

გვ.6

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ვასილ მაღლაფერიძეს ვურჩევდი, რეფორმები ნაკლები სისხლით გაატაროს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მამუკა არეშიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, საზოგადოებრივი მაუწყებლობის ირგვლივ განვითარებული პროცესები აქტუალურობას არ კარგავს. საკმაოდ ხისტი გადაწყვეტილებებით მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა. თქვენ წლები მუშაობდით ამ არხზე, რისი თქმა შეგიძლიათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?***

– რასაც ახლა მე ვიტყვი, უამრავი კრიტიკოსი ეყოლება ჩემს ნათქვამს და გალანძღვასაც ვერ ავცდები. შემიძლია ვთქვა, არ არის გამორიცხული, რომ ამ ტიპის ნაბიჯზე მეც მეფიქრა.

***– ასეთ რადიკალურზე?***

– დიახ, ერთი სეზონის განმავლობაში ტელევიზიაში რეფორმები ჩამეტარებინა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უამრავი დამსახურებული ადამიანი, რომლებმაც ავად თუ კარგად დღემდე მოიტანეს ეს ტელევიზია, დარჩეს მუდმივი ეჭვის ქვეშ და უსაქმოდ.

***– მაშინ როგორ უნდა მოიქცეს არხის ხელმძღვანელობა, რომ არც მწვადი დაწვას და არც შამფური? ან რამდენად კომპეტენტურია ახალი ხელმძღვანელი?***

– მე ძალიან კარგად მახსოვს გაზეთი კავკასიონი, რომლის მთავარი რედაქტორიც იყო მაღლაფერიძე და ის ძალიან კარგი გაზეთი იყო. შემდეგ ტელევიზიებში: მე-9 არხზე და ჯიდიესში მუშაობითაც აიმაღლა კვალიფიკაცია. ასე რომ, მე მის ჟურნალისტურ კვალიფიკაციაში ეჭვი არ მეპარება. ადმინისტრაციულ მონაცემებთან დაკავშირებით კი არაფრის თქმა არ შემიძლია.

***– კეთდება შეფასებები, რომ ის ხელისუფლების ინტერესს გაატარებს ამ არხზე, რომ ივანიშვილთან დაახლოებული პირია და ასე შემდეგ. ამაზე რას იტყვით?***

– საქართველო პატარაა, მე მიმანიშნეთ ადამიანზე, რომელსაც საზოგადოება იცნობს და ის რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან არ არის დაკავშირებული. ასეთს ვერ მიმანიშნებთ. სამწუხაროდ, მთელი რესურსი საქართველოში ცნობადი სახეების გადანაწილებულია პოლიტიკურ სპექტრში. კი ასოცირდება მაღლაფერიძე ხელისუფლებასთან, მაგრამ ერთი წუთით ამას დავანებოთ თავი და ვთქვათ, სჭირდება თუ არა ქირურგიული ჩარევა საზოგადოებრივ მაუწყებელს?! ცალსახად სჭირდება! ოღონდ ქირურგიულ ჩარევასაც გააჩნია.

***– რას გულისხმობთ?***

– ზოგი ერთი ქირურგი ასეთი ოპერაციის დროს ბევრ სისხლს დაღვრის და საქმესაც გააფუჭებს, ზოგი კი ამ ოპერაციას შეასრულებს უზადოდ და უსისხლოდ. მე ვასილ მაღლაფერიძეს ვურჩევდი, რომ რაც შეიძლება ნაკლები სისხლით, ნაკლები წყენით გააკეთოს ეს ყველაფერი, რადგან ამ არხზე ბევრი დამსახურებული ადამიანი მუშაობს.

***– არის ამის შანსი, რაზეც თქვენ საუბრობთ?***

– არის, რასაკვირველია. პირველ ეტაპზე მე ასეთ ნაბიჯს გადავდგამდი და ტელევიზიებს



გავწმენდდი იმ ადამიანებისგან, რომლებიც წლების განმავლობაში არიან ფავორიტები სხვადასხვა პოლიტიკური ძალის, სხვადასხვა პერსონალიების და, მართალი გითხრათ, არც არაფერს აკეთებენ. მე, პირველ რიგში. აუცილებლად გადავხედავდი მენეჯმენტის შემადგენლობას.

***– რატომ? ნდობას არ იმსახურებს?***

– იმიტომ, რომ ვასილ მაღლაფერიძე იმ ძველი მენეჯმენტით აპირებს ცვლილებების ჩატარებას. იმ ძველი მენეჯმენტის ზოგიერთ წარმომადგენელს დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ ბევრი უსაქმური შეიყარა საზოგადოებრივ მაუწყებელში. ამიტომ, მათთან ერთად ასეთი რეფორმის ჩატარება უკვე იწვევს უნდობლობას არა მარტო საზოგადოების ნაწილში, არამედ ტელევიზიის თანამშრომლებს შორისაც.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ტელევიზიის თანამშრომლები ის ძალაა, რომლებმაც თავის დროზე სერიოზული პრობლემები შეუქმნეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას და მის შეცვლაში გადამწყვეტი როლიც შეასრულეს.

***– შესაძლოა, ამ კუთხით დაიძაბოს ვითარება?***

– დიახ და არ სჭირდება დღეს ქვეყანას ახალი სოციალური დაძაბულობა, მით უმეტეს, რომ ამ ადამიანების სერიოზულ ნაწილს არც არაფერი დაუშავებია, მხოლოდ კარგი საქმე აქვთ ნაკეთები. იქ არის რამდენიმე გადაცემა, რომელიც საზოგადოებისთვის არის აბსოლუტურად მისაღები.

***– რომელ გადაცემებზე საუბრობთ?***

– არ ჩამოვთვლი ამ გადაცემებს, რომ ვიღაც არ გამინაწყენდეს. უბრალოდ მინიშნებას გავაკეთებ – იქ არის გადაცემა სოციალურ თემაზე, სოფლის მეურნეობის თემაზე, ისტორიულ თემაზე, რომელიც მე მიმაჩნია ძალიან მნიშვნელოვნად. შეიძლება ეს არ არის რეიტინგული გადაცემები, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებელი ცდილობდა, ამ გადაცემებით რაც შეიძლება ფართო სპექტრი მოეცვა საზოგადოების. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

***– ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან გაკეთდა განცხადებები, რომ არ გატარებულა არანაირი გრძელვადიანი რეფორმა. დიდი ბიუჯეტი ჰქონდა მაუწყებელს. გამოიკვეთება კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი?***

– რასაკვირველია! ეს აუცილებელია. მე ვეთანხმები მაღლაფერიძის მიდგომას ამ ნაწილში, რომ აუდიტი შევიდეს ტელევიზიაში, გადამოწმდეს მთელი წლების განმავლობაში თანხების ხარჯვის სისტემა, არა მხოლოდ გუშინდელი და გუშინწინდელი, არამედ – იმისწინდელიც. მენეჯმენტი აუცილებლად უნდა შეიცვალოს! ჯობია, მაღლაფერიძემ მარტომ ჩაატაროს ეს რეფორმა, ვიდრე იმ ხალხთან ერთად, რომელთა ნაწილი თვითონ არის მონაწილე იმ უბედურებაში, რაც ტელევიზიაში წლების განმავლობაში ხდებოდა.

## მამუკა არეშიძე: „საზოგადოებრივ მაუწყებელში ქირურგიული ჩარევა აუცილებელია“

***– თქვენ როგორ გაიგეთ ეს ყოველივე, ხურავს მაღლაფერიძე გადაცემებს თუ დროებით აჩერებს?***

– მაღლაფერიძე არ ხურავს ტელევიზიას, არც გადაცემებს, ის ამბობს, რომ იწვევს დისკუსიას. მე თუ მიმიწვევენ, სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას, რადგან მე ზუსტად ის მინდა, რომ არც ტელევიზიის თანამშრომელთა ინტერესები შეილახოს და არც საქმე გაფუჭდეს.

ბორდის ზოგიერთი წევრის აზრი ემთხვევა იმას, რაზეც მე ვსაუბრობ. თუ ეს დისკუსიები გაიხსნება, ეს არ იქნება კონტრპროდუქტიული, მაგრამ ამას არ უნდა ჰქონდეს ისტერიკის ფორმა. ეს საქმიანი უნდა იყოს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ დისკუსიებმა პოლიტიკურ ჭრილში არ გადაინაცვლოს.

***– არხის ხელმძღვანელობის ხედვა იყო ასეთი, რომ ყველა გადაცემა შეჩერებულიყო, გარდა მოამბისა, თუმცა ია ანთაძე აცხადებს, რომ ადამიანები, რომლებიც მოამბეში მუშაობენ, არაკონკურენტუნარიანები არიან სხვა ტელევიზიის კოლეგებთან შედარებით. გაჩნდა ეჭვი, რომ საინფორმაციო ჯგუფშიც სერიოზული შემცირება წავა. თქვენ როგორ ფიქრობთ?***

– ალბათ დაიწყება, რასაკვირველია. მე მოამბის რედაქტორი ვიყავი და ბევრს დაამახსოვრდა ეს პერიოდი ზუსტად იმიტომ, რომ გარკვეული რეფორმები ჩატარდა. სხვათა შორის, მტკივნეულიც. 160 კაცი გავუშვით მაშინ ჩვენ მოამბიდან, მაგრამ ისტერიკაში არავინ ჩავარდნილა და ჩხუბი არავის დაუწყია. იმიტომ, რომ სწორი ფორმა იყო შერჩეული. საზოგადოებაში ეს ზოგს მოეწონა, ზოგს არა, მაგრამ რეფორმამ უმტკივნეულოდ ჩაიარა. ეს მთლიანად გადავიდა ჩემს ზურგზე და მე ეს ავიტანე. მთავარია, რომ საქმე გაკეთდეს. რეფორმები აუცილებელია, უნდა შეეცადონ, რომ ეს ნაკლებად მტკივნეული იყოს.

***– საუბარია, რომ რუსთავი 2-ის გარდა, ყველა არხი ჯიბეში ჩაისვა ხელისუფლებამ და მიადგა საზოგადოებრივ მაუწყებელს და სწორედ ამ პროცესთან გვაქვს საქმე. ამაზე რას იტყვით?***

– ეს არის ლაპარაკი ლაპარაკისთვის. ჩემდროინდელი მაუწყებელიც იყო გავლენის ქვეშ, მაგრამ მნიშვნელოვანია, ვინ რა მიმართულებით



მე მოამბის რედაქტორი ვიყავი და ბევრს დაამახსოვრდა ეს პერიოდი ზუსტად იმიტომ, რომ გარკვეული რეფორმები ჩატარდა. სხვათა შორის, მტკივნეულიც. 160 კაცი გავუშვით მაშინ ჩვენ მოამბიდან, მაგრამ ისტერიკაში არავინ ჩავარდნილა და ჩხუბი არავის დაუწყია. იმიტომ, რომ სწორი ფორმა იყო შერჩეული

იხელმძღვანელებს.

***– შეძლებს საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომ გაემიჯნოს ხელისუფლებას და პოლიტიკურ პროცესებს?***

– ძალიან რთული იქნება! ქვეყნის სიმცირის გამო, ტრადიციული მიდგომების გამო. იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არავითარ შემთხვევაში არ დაემსგავსება რუსთავი 2-ს, რომელიც პარტიულ ტელევიზიად გადაიქცა. მე საზოგადოებრივ მაუწყებელზე არაერთი გადაცემა მინახავს, სადაც მკაცრად არის გაკრიტიკებული ზოგიერთი სფერო სახელისუფლო პოლიტიკისა. ქართული პოლიტიკური ელიტა ნელ-ნელა დაეჩვია კონსტრუქციულ კრიტიკას. პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებამდე ჯერ შორს არის, მაგრამ კრიტიკას დაეჩვია და მადლობა ღმერთს, რადგან კრიტიკის გარეშე საქმეს ვერ გააკეთებ.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ არხზე ქირურგიული ჩარევა გარდაუვალია?***

– გარდაუვალია. დაე, გამაკრიტიკონ, გავილანძღო. ამ ნაწილში მე მაღლაფერიძეს მხარს ვუჭერ, მთავარია, სწორი ფორმა იქნას შერჩეული და ეს იყოს ბევრად უმტკივნეულო და ნაკლებად ექსცესური საზოგადოებისა და ტელევიზიისთვის.

# ირაკლი აბესაძე: „ხელისუფლებამ ნაჯახი დაკიდა მოსამართლეების თავზე“

– ხელისუფლებამ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ნაჯახი დაკიდა მოსამართლეების თავზე.

ამის შესახებ პარლამენტის სხდომაზე ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ წევრმა ირაკლი აბესაძემ განაცხადა.

მისი თქმით, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების განცხადებები ირონიული იყო.

– მინდა გამოვეხმაურო იმ ირონიულ გაცხადებებს, რომლებიც წამოვიდა „ქართული ოცნების“ დეპუტატებისგან. პირველ რიგში, მოვისმინეთ, თითქოსდა დამოუკიდებელი სასამართლოს დამცველი ქალბატონი სოფიო კილაძის განცხადება, რომელსაც ავიწყდება, რომ ის არის იმ ხელისუფლების წარმომადგენელი, რომელმაც, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, ნაჯახი დაკიდა მოსამართლეების თავზე. ასევე მან განაცხადა, რომ თითქოს დროა გვერდზე გადავდოთ ყველა სხვა საკითხი და ვიზრუნოთ გაჭირვებული ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებაზე, რაც, სხვათა შორის, ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა, – აღნიშნა დეპუტატმა.

მისი თქმით, ხელისუფლება ემალება ამ გაჭირვებას.

– თქვენ ხართ ხელისუფლება, ვისაც არ გსურთ, ტელევიზიის ეკრანებიდან მაინც დაინახოთ ამ ადამიანების გაჭირვება და ტელევიზიის ეკრანებიდან მაინც შეიტყოთ, როგორი უმოქმედო ჩინოვნიკები გყავთ, რომლებიც არიან კორუფციაში ჩაფლული და იღებენ მილიონობით პრემია-დანამატს, – განაცხადა ირაკლი აბესაძემ.

მისი აზრით, ბიძინა ივანიშვილის მიზანია ის ისტერიული შეტევა, რომელიც ახლა მიმდინარეობს რუსთავი 2-ის ხელში ჩასაგდებად, მათ შორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების წინააღმდეგ.

– ასეთივე ისტერიული შეტევა გაქვთ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ, რომლის კანონისმიერი ვალდებულებაა, საზოგადოებისთვის ინტერესის შესაბამისი მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზება.



თქვენ აბსოლუტურად მთლიანად გააუქმეთ საზოგადოებრივი მაუწყებელი და დღეს ვნახეთ, რომ 46 მილიონი უნდა ვუხადოთ შსს-დან საზოგადოებრივ მაუწყებელში გადაბარგებულ თანამშრომლებს, რომელთა ხელფასის გადახდა ასევე ივანიშვილმა აღარ მოინდომა, – აღნიშნა აბესაძემ.

მისივე თქმით, ასეთი ნაბიჯებით ხელისუფლება წარუმატებლობისკენ ექაჩება ქვეყანას.

– იმედია, მოეშვებით პროკურატურისა და სუს-ისგან დადგმულ მასხარა შოუებს, იმედია, დაანებებთ თავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, იმედია, გაუსწორებთ თვალს იმ გაჭირვებას, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა თქვენი მმართველობის დროს და მართლაც იზრუნებთ ადამიანების რეალურ გაჭირვებაზე და არა იმაზე, რომ გამრუდებული სარკე გაასწოროთ და იქ უფრო ლამაზად გამოაჩინოთ თქვენი თავები, – აღნიშნა ირაკლი აბესაძემ.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სანდრო ბრეგაძე: „ფარული ჩანაწერები ბიძინა ივანიშვილზეც არსებობს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ იწერენ პოლიტიკოსები ერთმანეთის პირად საუბრებს, ვინ აშანტაჟებს ბიძინა ივანიშვილს, რომელი ქვეყნის სპეცსამსახურები აწარმოებენ საქართველოში მოსმენებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარტია „ეროვნულობის“ ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე ესაუბრება.



***– თქვენ სოციალურ ქსელში დაწერეთ, რომ პირადად იცნობთ იმ პოლიტიკოსებს, რომლებმაც ბიძინა ივანიშვილის პირადი საუბარი ჩაიწერეს. შეგიძლიათ უფრო დეტალურად გვითხრათ ამის შესახებ?***

– ამ ინფორმაციას გიდასტურებთ, ოღონდ მათ სახელებს ახლა არ დავასახელებ. ქართულ პოლიტიკაში პირადი საუბრების ჩაწერა ჩვეულებრივ ამბად იქცა. კონკრეტულად რისთვის სჭირდებათ ეს, ვერ გეტყვით, მაგრამ თავად ასე თვლიან, რომ ეს ჩანაწერები დიდი სიმდიდრეა.

***– ის პირები, რომლებმაც ივანიშვილის საუბრები ჩაიწერეს, მოქმედი პოლიტიკოსები არიან?***

– პოლიტიკაში მოღვაწე ადამიანები არიან და მათ რაღაც წონაც აქვთ. ჩემი აზრით, სწორედ ფარული ჩანაწერებით აქვთ ეს პოლიტიკური წონა. რამდენადაც მე ვიცი, საუბარი ერთ და ორ ჩანაწერზე არ არის. ყველა ყველას იწერს. იწერენ მეგობრულ და პირად საუბრებს. ეს ყველაზე დიდი უზნეობაა, რაც შეიძლება ადამიანმა მოიფიქროს. ამათ შემხედვარე შეიძლება ვთქვათ, რომ არავის ნდობა აღარ შეიძლება.

***– და რატომ მოხდა ასე? ნაციონალების მიმართ ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია ის იყო, რომ ისინი ფარულ მიყურადებებს ახორციელებდნენ.***

– პოლიტიკაში 20 წელზე მეტია, რაც ვარ და ვინმეს ჩაწერის სურვილი ერთხელაც არ გამჩენია. წარმოუდგენლად მიმაჩნია იმ ხალხის ჩაწერა, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა გაქვს, ან რაიმე მოლაპარაკებას აწარმოებ. საუბრების ჩაწერის პრაქტიკა ნაციონალების ხელისუფლებამ დანერგა, მაგრამ ის სხვებმაც კარგად აითვისეს. დაძალებით ასეთ რამეს ვერავის დააძალებ, ეტყობა, ასეთი რამე ამ ხალხის ხასიათში ზის.

ეს ხალხი ამ ზნეს არ მოიშლის და გამოსავალი მათ გარიყვაშია. ისინი საზოგადოებამ უნდა გარიყოს. როცა ეს ხალხი პოლიტიკიდან გაიდევნება, მათ მიერ მოპოვებულ ჩანაწერებს არანაირი ფასი აღარ ექნება.

ის ადამიანები, რომლებმაც ივანიშვილის საუბარი ჩაიწერეს, ამ თემაზე ღიად საუბრობენ. ამით ტრაბახობენ კიდეც და მათ საუბრის ფრაგმენტიც კი მომასმენინეს. მართლა არ მესმის, როგორ უნდა ჩაიწერო ადამიანთან შინაურული საუბარი და შემდეგ ის წლების მანძილზე შეინახო. არადა, ისინი ივანიშვილთან დაახლოებულ პირებად ითვლებიან.

***– ივანიშვილმა არ იცის, რომ მასთან დაახლოებული პირები მის საუბრებს იწერენ?***

## „დეპუტატები და მინისტრები ერთმანეთს ჩანაწერებით აშანტაჟებენ“

– ამდენი უკვე აღარ ვიცი. საუბრის ჩანაწერის ფრაგმენტი კი დაახლოებით ერთი წლის წინ მომასმენინეს. მე და ჩემი მეგობარი ერთ-ერთ ოფისში ვიყავით მისული. იქ რაღაცებზე ვისაუბრეთ. ორმა ადამიანმა განაცხადა, რომ ისინი ფლობენ რაღაც ჩანაწერს და ამის დასამტკიცებლად საუბრის მცირე ფრაგმენტიც მოგვასმენინეს.



***– თქვენ შესაძლოა მოგედავონ იმის გამო, რომ ეს ფაქტი სამართალდამცავებს არ აცნობეთ, თან იმ პერიოდისთვის მინისტრის მოადგილე იყავით.***

– მინისტრის მოადგილე იმ დროს უკვე აღარ ვიყავი. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ ვაცნობე სამართალდამცავებს, იმ ფრაგმენტში, რაც მე მოვისმინე, არაფერი განსაკუთრებული არ იყო. ეს ადამიანები პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ მათი საუბრიდან ჩანს, რომ ისინი ამ ჩანაწერებს შანტაჟისთვის იყენებენ. ამათთან ბრძოლის ერთადერთი ხერხი, როგორც უკვე ვთქვი, პოლიტიკიდან მათი გარიყვაა.

***– გარიყვამდე ხომ მათი ვინაობაა დასადგენი? ხალხმა ხომ უნდა იცოდეს, რომელი პოლიტიკოსი იწერს საუბრებს?***

– მოდით, პირდაპირ გეტყვით, ქართველი პოლიტიკოსების 95% ფარულად იწერს თავისი კოლეგების საუბრებს. ისინი მოსიარულე ჩამწერები არიან. საუბრების ჩაწერაზე უარს არც ოპოზიცია ამბობს და არც – პოზიცია. დეპუტატები და მინისტრები იწერენ საუბრებს და მერე ერთმანეთს აშანტაჟებენ. ამათთან არც მეგობრობა და არც ახლობლობა არ შეიძლება. პირადი საუბრის დროს შეიძლება ვიღაცა უხეშად ახსენო. ეს მოსიარულე ჩამწერები ამ საუბრებს ასაწყობებენ და საჭირო მომენტში შანტაჟისთვის იყენებენ.

შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ ჩემი დამოკიდებულება ყველასთვის ცნობილია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მაშინ ასეთ ბინძურ მეთოდებს არ იყენებდნენ.

***– იქნებ იმიტომ, რომ მაშინ სათანადო ტექნიკა არ იყო?***

– მონდომების შემთხვევაში მაშინაც შეიძლებოდა პირადი საუბრების ჩაწერა. ეს მიმდინარეობა სააკაშვილის ხელისუფლებამ დანერგა. სამწუხაროდ, ამ გზას ადგას ეს ხელისუფლებაც. ყველამ ხომ ვიცით, რომ ჩვენი ტელეფონები ისმინება. ამაზე ხმას რატომღაც არავინ იღებს.

სააკაშვილის რეჟიმს, სხვებისგან განსხვავებით, მე ასეთი უკანონობების გამო ვებრძოდი. ზოგი მას იმიტომ გაებუტა, რომ თანამდებობაზე არ დანიშნა. წითელი ინტელიგენცია იმიტომ დაუპირისპირდა, რომ სააკაშვილმა თავისი ბომონდი შექმნა და ესენი ჩააჩოჩა.

საზოგადოების ნაწილი კი მას ადამიანის უფლებების დარღვევისთვის ვუპირისპირდებოდით. თუ უკანონო მოსმენები ახლაც მიდის და ახლაც იწერენ ჩვენს საუბრებს, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ქვეყნის სათავეში, სააკაშვილი თუ კვირიკაშვილი.

კიდევ ერთხელ ვამბობ, დღეს ჩვენს საუბრებს უსმენენ და იწერენ. ამას რომელიმე კონკრეტული სამსახური არ აკეთებს. მოსმენებს და ჩაწერებს სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურები ახორციელებენ. პოლიტიკოსები რასაც აკეთებენ, ამაზე თავში უკვე მოგახსენეთ.

# ირმა ინაშვილი: „პარლამენტში დეპუტატებს სიტყვით გამოსვლის უფლებას არ აძლევენ“

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 8 თებერვალს, პარლამენტში საგაზაფხულო სესია გაიხსნა. პარლამენტის ტრიბუნას მოწყურებული კანონმდებლები მოტივირებულები წავიდნენ ქუთაისში, მაგრამ სულ ტყუილად. პოზიციის დაფიქსირება ბევრი მათგანისთვის ლამის აუხდენელ ოცნებად დარჩა.

ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ირმა ინაშვილმა. ის ამტკიცებს, რომ საკანონმდებლო ორგანო დახურული ტიპის დაწესებულება გახდა, სადაც დეპუტატები საკუთარი აზრის დაფიქსირებას ვერ ახერხებენ.



მედიასთან საუბრისას პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა ისიც დაიჩივლა, რომ პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლა ძალიან გართულებულია. მისივე განმარტებით, ამისთვის დეპუტატი სამდივნოში, სიაში უნდა ჩაეწეროს.

ვიცე-სპიკერი იმასაც ჩივის, რომ სიაში ჩაწერა შეუძლებელია. მისი თქმით, სიაში ჩასაწერად მისულ დეპუტატებს ეუბნებიან, რომ ყველა ადგილი შევსებულია.

– უმრავლესობა იკავებს ამ ადგილებს და შენ რომ მიდიხარ კანონით გათვალისწინებულ ვადაში სხდომის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, გეუბნებიან, რომ შენ სამწუთიან განცხადებას ვერ გააკეთებ, იმიტომ, რომ სია უკვე შევსებულია.

პარლამენტის ახალგაზრდა თავმჯდომარეს უნდა შევახსენო, პარლამენტის ბიუროსაც და პარლამენტის ყველა წევრსაც, რომ პარლამენტი არის ის ადგილი, სადაც დეპუტატები უნდა საუბრობდნენ ხალხისთვის საჭირბოროტო საკითხებზე. არავის არ აქვს უფლება, მე შემიზღუდოს ეს თავისუფლება და ჩემი უფლება-მოვალეობის განხორციელებაში შემიშალოს ხელი, – განაცხადა ინაშვილმა.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი წილი აღშფოთება გამოთქვა პატრიოტთა ალიანსის კიდევ ერთმა წევრმა ემზარ კვიციანმა. დეპუტატი იმის გამოა უკმაყოფილო, რომ სხდომაზე აზრის დასაფიქსირებლად საკმარისი დრო არ არის გამოყოფილი.

შექმნილმა ვითარებამ აღშფოთებულ დეპუტატს უკვდავი ფილმი „შერეკილები“ გაახსენა.

– 73 მაჟორიტარი გყავთ, მათაც ხომ უნდათ, გამოვიდნენ და რეგიონზე გააკეთონ განცხადება? არავითარი საშუალება არ ეძლევათ არც მათ და არც ჩვენ. როგორც შერეკილებშია, ყველაფერი დასწრებაზეა ამ ქალაქში, – აღნიშნა ემზარ კვიციანმა.

მაჟორიტარების საკითხი პატრიოტთა ალიანსისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ჩანს. სხვა ოპოზიციური პარტიების მსგავსად, ისინიც ითხოვენ ამ სისტემის გაუქმებას.

ვიცე-სპიკერი ინაშვილი მიიჩნევს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარული სისტემის გაუქმების მიზნით, წინა მოწვევის პარლამენტში ინიცირებული და განხილული კანონპროექტი, პლენარულ სხდომაზე, კენჭისყრაზე აუცილებლად უნდა დააყენოს.

– ყველა კვალიფიციურ პოლიტიკურ პარტიას, მათ შორის, იმ პარტიებს, რომლებიც დღეს პარლამენტში არ არიან წარმოდგენილი, მაგრამ ეწევიან ქვეყანაში პოლიტიკურ საქმიანობას, მიგვაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს მაჟორიტარული სისტემა.

საქართველოს პარლამენტში ჯერ კიდევ შარშან, 200.000-ზე მეტი ხელმოწერით შემოვიდა კანონპროექტი, რომელიც სწორედ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ისახავს მიზნად. ეს კანონპროექტი განხილული იყო როგორც საკომიტეტო, ასევე პლენარულ სხდომაზეც, რომელიც კენჭისყრამდეა მისული. მეცხრე მოწვევის პარლამენტმა დღის წესრიგში უნდა ჩასვას აღნიშნული საკითხი, რომელსაც ჩვენ კენჭი უნდა ვუყაროთ, – ამბობს პარლამენტის ვიცე-სპიკერი.

მისი ყურადღების მიღმა არც გიორგი მარგველაშვილის მიერ გამოყენებული ვეტო დარჩა. მეოცნებეები საგაზაფხულო სესიაზე სწორედ ამ ვეტოს დაძლევის სულისკვეთებით მივიდნენ.

მეოცნებეებისგან განსხვავებით, ინაშვილი მარგველაშვილის გადაწყვეტილებაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს. ამბობს, რომ პრეზიდენტის ვეტო დემოკრატიის ნაწილია.




– თვალშისაცემია ტენდენცია, რომ თუ პრეზიდენტი ამა თუ იმ საკითხს ვეტოს დაადებს, ეს არის ყოველთვის ძალიან მტრულად აღქმული. მე მგონი, პრეზიდენტის ვეტოც დემოკრატიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ეს ყველაფერი გადადის პიროვნული მიუღებლობის სპექტრში. პრეზიდენტს უფლება აქვს, შენიშვნები წარუდგინოს პარლამენტს და პარლამენტი გაიზიარებს თუ არა, ეს სხვა საკითხია. ჩვენ ძალიან მშვიდად და ბრძნულად უნდა მივუდგეთ ასეთი ტიპის საკითხების განხილვას.

რას ამბობს პრეზიდენტი? ის ამბობს, რომ მოსამართლეების არჩევა უნდა ხდებოდეს მოსამართლეების მიერ. აი ეს არის მთავარი პუნქტი. ჩვენ ვამბობთ, რომ მოსამართლეებს უნდა ირჩევდნენ მოსამართლეები.

ჩვენი მოდელი კიდევ უფრო განსხვავებულია. სამსაფეხურიანი უნდა იყოს მთელი ეს პროცესი. შემდეგ ამ მოსამართლეებს უნდა იხილავდნენ პარლამენტში და პარლამენტიდან კანდიდატურა უნდა მიდიოდეს პრეზიდენტთან და თუ პრეზიდენტი ვეტოს დაადებს, შესაბამისად, ის კანდიდატი ვერ მოხვდება განსახილველ კანდიდატურებს შორის. მოსამართლეს არ უნდა ნიშნავდეს იუსტიციის საბჭო, მით უმეტეს, როცა იუსტიციის საბჭო არის მურუსიძეების ხელში, – აღნიშნა ვიცე-სპიკერმა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დავით ნემსაძე: „ვარჯიშის დროს ჯარისკაცი გარდაიცვალა“

გულიკო ბალაძე

**სამხედრო უფლებადამცველი დავით ნემსაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ 3 თებერვალს შეიარაღებულ ძალებში, მარნეულის საავიაციო ბაზაზე, დილის ვარჯიშის დროს ჯარისკაცი გარდაიცვალა, სამხედრო ხელმძღვანელობას კი მეორე დღეს კორპორატიული მოლხენა ჰქონდა.**

**დავით ნემსაძე:**

– შეიარაღებულ ძალებში, მარნეულის საავიაციო ბაზაზე დილის ვარჯიშის დროს კაპრალი გარდაიცვალა. ჯარისკაცი 3 თებერვალს გარდაიცვალა, 4 თებერვალს კი სარდლობამ 18 საათსა და 30 წუთზე კორპორატიული ღრეობა გამართა.

***– კორპორატიული ღრეობა რას ნიშნავს?***

– არ ვიცი. ეს უნდა შეეკითხოთ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურს. მე ასეთი ინფორმაცია მაქვს, ჩემი ინფორმაცია კი არასოდეს ყოფილა მცდარი.

***– რაიმეს აღნიშნავდნენ?***

– რა თქმა უნდა, აღნიშნავდნენ. აღსანიშნი ბევრი რამ აქვთ. შეიარაღებული ძალები დაინგრა, თავდაცვის სამინისტროდან 2.250 კაცზე



მეტია გათავისუფლებული.

***– ამბობენ, რომ საერთო რაოდენობის 0.1%-ია გაშვებულიო.***

– ეს არის ის პროცენტი, რომელსაც ჰქვია შეიარაღებული ძალების შესუსტება, მიზანმიმართული დანგრევა-დაკონსერვება და განადგურება. ეტყობა, საზეიმო მართლა ბევრი აქვთ და ზეიმობენ.

***– თქვენ ამბობთ, რომ ჯარს ავარჯიშებდნენ და ჯარისკაცი ვარჯიშის დროს გარდაიცვალა. თუკი ჯარს ავარჯიშებდნენ, მაშინ სად ხედავთ თქვენ ჯარის შესუსტებასა და განადგურებას.***

– ნიკოლოზ ჯანჯღავას მეცადინეობით ფიზიკური მომზადების ნორმატივებმა 60%-დან 70%-მდე აიწია. ვინც იყო ფიზიკური მომზადების სპეციალისტი, ხვიჩა გაბიევი, 45 წლის ვიცე-პოლკოვნიკი გააგდეს (საბჭოთა კავშირის ჩემპიონი). ფიზიკური ნორმატივების საკითხიც ბატონმა ნიკოლოზ ჯანჯღავამ შეითავსა, რომელიც არის არაკომპეტენტური. ჯანჯღავას აქვს ძალიან ბევრი სპეციალობა და მიმართულება. თან ფიზოს სპეციალისტია, თან ავიატორიც არის და საზღვაო სპეციალისტიც, ასე არ გამოვა. რეალობა გვაქვს ერთი – ადამიანი გარდაიცვალა. გაუჩერდა გული.

***– ზედმეტად ავარჯიშეს და გული იმიტომ გაუჩერდა?***

– არასწორად ავარჯიშეს. მიჩნდება ვარაუდი, რომ თუ მას სირბილის დროს გაუჩერდა გული, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ცუდად ავარჯიშებდნენ. დილით სხვა დატვირთვით უნდა ავარჯიშო, შუადღეზე – სხვა დატვირთვით. ეს არ არის პირველი შემთხვევა. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ პროფესიონალები გაყარეს, არაპროფესიონალები კი დატოვეს.

***– თქვენ დარწმუნებული ხართ თქვენი ინფორმაციის სისწორეში?***

– მე ვარ სამხედრო განყოფილების უფროსი არასამთავრობო მიმართულებით. ჩემი ვალდებულებაა, ვიზრუნო ჯარისკაცების უფლებების დაცვაზე. ის ინფორმაცია, რაც მე მაქვს, სულაც არ არის საიდუმლო. ვიცი საიდუმლო და განსაკუთრებით საიდუმლო ინფორმაციის გაჟღერების წესი. კეთილი უნდა ენება თავდაცვის სამინისტროს და პრესსამსახურის მეშვეობით საზოგადოებისთვის ეცნობებინა, ჯარისკაცი გარდაიცვალა თუ არა. თქვენ გსმენიათ, რომ ამის თაობაზე რაიმე განცხადება გაკეთდა? არ გაკეთებულა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური თავის მოქალაქეებს მიზანმიმართულად უმალავს ჯარისკაცის გარდაცვალების ფაქტს.

***– კონკრეტულად, რას ნიშნავს, ფიზიკური მომზადების ნორმატივებმა 60-დან 70%-მდე აიწიაო?***

– ეს იმას ნიშნავს, წლოვან ასაკზე რომ არის გასაკეთებელი მიზიდვა, სირბილი გარკვეულ დროში, ის იმატებს მთელი რიგი მონაცემებით. ყველა ნორმატივი იმატებს. ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ ხალხი ჩაჭრან და შეიარაღებული ძალებიდან გაყარონ. ჯანჯღავას აქვს ამის მცდელობა.

***– როგორ, ჯარს ვარჯიშის საშუალება არ აქვს?***

– დიახ, ჯარს ვარჯიშის საშუალება არ აქვს. ადამიანები დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალებიდან. ძალიან დიდი პრობლემა შეიქმნა საყარაულო გამწესებასთან დაკავშირებით.

***– აღარ ყოფნით?***

– რა თქმა უნდა. ეს არის მორიგი უბედურება.

# აკაკი ბობოხიძე: „დედაქალაქი ქუთაისში ხომ არ გადმოგვეტანა?“



„ევროპული საქართველოს“ წევრი აკაკი ბობოხიძე მიიჩნევს, რომ პარლამენტის ადგილსამყოფელის საკითხი არ უნდა გადაწყდეს მხოლოდ თეორეტიკოსი იურისტების წრეში.

როგორც აკაკი ბობოხიძემ პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატების შემადგენლობით უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ საკითხზე იმსჯელებს.

– დღეს მთელი საქართველო დაძრულია და თავის გადასარჩენად ან უცხოეთში, ან თბილისში მიდის. თუ გავიაზრებთ შიდა მიგრაციის ტემპებს, სულ რაღაც რამდენიმე ათიოდე წელიწადში დასავლეთ საქართველო უკვე აღარ იქნება და საქართველოს ემუქრება საფრთხე, რომ ქალაქ-სახელმწიფოდ გადაიქცეს და ეს ქალაქ-სახელმწიფო იქნება ქალაქი თბილისი, – განაცხადა დეპუტატმა.

იმისთვის, რომ დასავლეთ საქართველო რამენაირად დავამაგროთ, აუცილებლად საჭიროა ერთი ქალაქის არსებობა მაინც დასავლეთ საქართველოში, რომ დასავლეთ საქართველოში მცხოვრებლების ლტოლვა თბილისისკენ რამენაირად შევაჩეროთ.

– გარწმუნებთ, ეს არ სჭირდება მარტო ქუთაისს, სჭირდება თბილისის და ქვეყნის გადარჩენას, რომ მთელმა ქვეყანამ ერთ ქალაქში არ მოიყაროს თავი. სწორედ ამიტომ, თუ რა შედეგებს გამოიწვევს პარლამენტის გატანა ქუთაისიდან, ან არის თუ არა სხვა რაიმე თემა, რომლითაც შეიძლება ქუთაისი, როგორც ქალაქი, გადარჩეს, ამ საკითხზე უნდა მიდიოდეს მსჯელობა პრემიერ-მინისტრთან, მთავრობასთან, – აღნიშნა აკაკი ბობოხიძემ.

მისივე თქმით, ლაპარაკია იმაზე, რომ მუდმივად ქუთაისში დაფუძნდეს პოლიტიკური ელიტა, მუდმივად ქუთაისში იყოს ის მუშაობა, რასაც საპარლამენტო მუშაობა ჰქვია.

– უფრო მეტსაც გეტყოდით, იქნებ იფიქროთ იმაზე, რომ საერთოდ დედაქალაქი გადმოვიტანოთ თბილისიდან. არა იმიტომ, რომ თბილისის დაკნინება მინდა. არა – თბილისი არის ეკონომიკურად გამართული. მის განვითარებას ვერავინ და ვერაფერი შეაფერხებს, თუ რაიმე საშინელი კატაკლიზმები არ მოხდა, მაშინ როდესაც, ქუთაისის გადარჩენას ხელოვნური ჩარევა სჭირდება, – განაცხადა ბობოხიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# სოფო კილაძე: „ტყუილია, რომ ჩემსა და გედევან ფოფხაძეს შორის დაპირისპირებაა“



– გედევან ფოფხაძე ძალიან კარგი კანდიდატურაა პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

ამის შესახებ ჟურნალისტებთან დეპუტატმა სოფო კილაძემ განაცხადა.

მისივე განმარტებით, მასა და ფოფხაძეს შორის საკმაოდ კარგი ურთიერთობაა და გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მათ შორის დაპირისპირებაა, სინამდვილეს არ შეესაბამება.

– ძალიან დიდი ტყუილია, თითქოს დაპირისპირება იყოს ჩემსა და გედევან ფოფხაძეს შორის. გედევანმა, თუნდაც რომ დაიკავოს ეს თანამდებობა, მაინც ჩემს მოადგილედ დარჩება. ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ეს ჭორი საიდან მოვიდა, არ ვიცი, – განაცხადა სოფო კილაძემ.

ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელად დეპუტატი გედევან ფოფხაძე წარადგინა.

**ინტერპრესნიუსი**

# პარლამენტში მანანა კობახიძეს ანრი ოხანაშვილი შეცვლის

მანანა კობახიძეს, რომელიც პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩია, პარლამენტში ანრი ოხანაშვილი შეცვლის.



„ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში მანანა კობახიძის ადგილმონაცვლე ანრი ოხანაშვილია, რომელიც ამჟამად პარლამენტის აპარატს ხელმძღვანელობს.

ოხანაშვილმა პარლამენტის აპარატის უფროსის თანამდებობა დაახლოებით ორი თვის წინ დაიკავა, თუმცა ის „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიიდან ამოღებული არ არის. შესაბამისად, კობახიძისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ, მისი ადგილმონაცვლე სწორედ ოხანაშვილი ხდება.

თუკი ანრი ოხანაშვილი პარლამენტის აპარატის უფროსის თანამდებობის დატოვებაზე უარს იტყვის, მანანა კობახიძეს პარლამენტში ლევან მგალობლიშვილი შეცვლის.

**ინტერპრესნიუსი**

# ნიკა მელია: „ივანიშვილს საზოგადოებრივი მაუწყებელი კი არა, მისი ინფრასტრუქტურა ანაღვლებს“

– ივანიშვილს საზოგადოებრივი მაუწყებელი კი არა, მისი ინფრასტრუქტურა ანაღვლებს, რომელიც შუაგულ თბილისში 33.000 კვ.მ-ზეა განლაგებული.

ბიძინა ივანიშვილს არც მაუწყებლის დახურვა-არდახურვა ანაღვლებს, არც იმ 600 თუ 700 თანამშრომლის ბედი, რომელთა გაყრასაც ის აპირებს. მას ანაღვლებს ის ტერიტორია, რომელზეც განლაგებულია საზოგადოებივი მაუწყებლის ინფრასტრუქტურა.

ამის შესახებ ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრმა ნიკა მელიამ პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

მან მიმართა „ქართული ოცნების“ დეპუტატებს, რომ ხმა ამოიღონ.

– ძვირფასო კოლეგებო „ქართული ოცნებიდან“, თქვენ უმრავლესობის ის დეპუტატები ხართ, რომლებიც ახლაც არ იღებთ ხმას, არადა ვალდებულები ხართ, რომ ხმა ამოიღოთ და აიმაღლოთ.

ხედავთ, რომ ივანიშვილი უკვე რეალურად ხურავს საზოგადოებრივ მაუწყებელს, მაგრამ თქვენ კვლავაც არ იღებთ ხმას. თქვენ იმ უმრავლესობის წევრები ხართ, რომლებიც ვალდებულები ხართ ამოიღოთ ხმა, როდესაც ხედავთ და იცით, რომ ივანიშვილი კინწისკვრით აპირებს 600 თანამშრომლის გაგდებას საზოგადოებრი-



ვი მაუწყებლიდან, – განაცხადა მელიამ.

გარდა ამისა, ნიკა მელიამ მიმართა „ქართული ოცნების“ დეპუტატებს, რომ რუსთავი 2 მათ სჭირდებათ პირველ რიგში, რათა უფსკრულში არ გადაიჩეხონ და, რომ არსებობდეს მედია სივრცე ქვეყანაში, სადაც ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები მივლენ და ისაუბრებენ სხვადასხვა საკითხის გარშემო.

**ინტერპრესნიუსი**

# თინა ბოკუჩავა: „დევნილებისთვის პოლიტიკური სტატუსის მოხსნა რუსეთის მოთხოვნაა“

ნაციონალური მოძრაობის წევრის თინა ბოკუჩავას განცხადებით, დევნილებისთვის 45-ლარიანი შემწეობის სავარაუდო გაუქმება და პოლიტიკური სტატუსის მოხსნა რუსეთის დავალებაა. როგორც ბოკუჩავამ დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, ეს არის პოლიტიკურად სახიფათო ნაბიჯი.

– ეს არის ეკონომიკურად უსამართლო გადაწყვეტილება. ეს არის პოლიტიკურად სახიფათო ნაბიჯი, რადგან ეს ე.წ. რეფორმა ითვალისწინებს დევნილებისთვის პოლიტიკური სტატუსის მოხსნას, რაც არის ოკუპანტი სახელმწიფოს, რუსეთის მოთხოვნა. სწორედ ამას ითხოვენ ამდენი წელია, ამას აყენებენ ისინი დღის წესრიგში ჟენევის მოლაპარაკებებზე. ეს არ იქნება გასაკვირი, რადგან თქვენ პირდაპირ ასრულებთ კრემლის დავალებებს, – მიმართა ხელისუფლებას ბოკუჩავამ.

მისივე თქმით, იმის ნაცვლად, რომ მინისტრი სოზარ სუბარი დევნილებს ესაუბროს, მათ ცინიკურად მოიხსენიებს.

– მინდა ვისაუბრო დევნილებისთვის 45-ლარიანი შემწეობის სავარაუდო გაუქმებაზე, ხოლო შემდგომ პოლიტიკური სტატუსის მოხსნაზე. ერთი მხრივ, როდესაც მილიარდერი ივანიშვილის მთავრობა ერთ მილიონ ლარს ნახულობს, რომ ქრთამი გადაუხადოს მოსამართლე ნატა ნაზღაიძეს „რუსთავი 2-ის“ ხელში ჩასაგდებად, მეორე მხრივ, ხელისუფლება საბიუჯეტო დანაზოგს აკეთებს ჩვენს დევნილ მოქალაქეებზე. ერთი მხრივ, ვხედავთ, რომ მილიარდერი ივანიშვილის ხელისუფლება მილიონობით ლარით უზრდის დაფინანსებას სუს-ს, ხოლო მეორე მხრივ, იგივე ხელისუფლება სოციალურ დახმარებებს უხსნის ათასობით ჩვენ თანამოქალაქეს.

მარტო ისანი-სამგორში, შემოწმებულია 9.000 ოჯახი და იქიდან სავარაუდოდ 80%-ს მოეხსნება სოციალური დახმარება. მაშინ როდესაც, ივანიშვილი მთელ სახელმწიფო რესურსს, მათ შორის საბიუჯეტო სახსრებს, ითხოვს იმისთვის, რომ



იქით-აქეთ არბენინოს საკუთარი ბალისთვის ხეები, ჩვენი მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებულ ნაწილს, დევნილებს და სოციალურად დაუცველ ადამიანებს უხსნიან იმ ძალიან მწირ დახმარებას, რომელიც აქვთ.

ძალიან სამწუხაროა, რომ მინისტრი საერთოდ არც ინტერესდება ამ თემით. ჩვენ ვიხილეთ, რომ იყო დევნილების მხრიდან პროტესტი. იმის ნაცვლად, რომ მინისტრს მათთან ესაუბრა, მან ცინიკურად მოიხსენია ისინი, თუმცა ეს არც მიკვირს, რადგან მე-13 დღეა ზუგდიდში შიმშილობენ დევნილები და მინისტრი იქაც არ ჩასულა, – განაცხადა ბოკუჩავამ.

**ინტერპრესნიუსი**

# აფხაზეთში ოპოზიცია დეპუტატობის კანდიდატებს მოუწოდებს, არ გასცენ ტყუილი დაპირებები

მარიამ მჭედლიშვილი

12 მარტს ანექსირებულ აფხაზეთში ტარდება საპარლამენტო არჩევნები. მასში აქტიურად მონაწილეობს ოპოზიცია, რომელიც ფაქტობრივ პრეზიდენტ ხაჯიმბას რამდენჯერმე მწვავედ დაუპირისპირდა, დეკემბერში კი მისი გადადგომის მოთხოვნით ქუჩაში ხალხი გამოიყვანა.

ოპოზიცია პოლიტიკოსებს მოუწოდებს, სიმართლე უთხრან ამომრჩეველს და უარი თქვან წინასაარჩევნო სიყალბეზე. უფრო მკაცრი მოთხოვნები აქვს საზოგადოებას, რომელიც დეპუტატებისთვის დაკანონებული შეღავათების გაუქმებას მოითხოვს.

კანდიდატები დაასახელეს 120-ზე მეტმა საინიციატივო ჯგუფმა, ასევე პარტიებმა – ამცახარამ, აინარმა, სახალხო ფრონტმა სამართლიანობისა და განვითარებისათვის და აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმმა. ამცახარამ 8 კანდიდატი წამოაყენა, ფორუმმა – 7.

„ახალი თაობა“ წერდა იმის შესახებ, რომ არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა აფხაზეთის ყოფილმა პრეზიდენტმა და პრემიერმა ალექსანდრე ანქვაბმა.

მას არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდეს ოპოზიციურმა პარტია ამცახარამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ისინი დარწმუნებული არიან, რომ ანქვაბი შეძლებს საზოგადოებაში არსებული განხეთქილების დაძლევას და აფხაზეთისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივების გატანას.

– მოვუწოდებთ კანდიდატებს, უარი თქვან სპეკულაციაზე, არ მოატყუონ საზოგადოება, არ გასცენ ტყუილი დაპირებები, – მიმართავს პარტია ამცხარა არჩევნებში მონაწილეებს.




პარტიის თავმჯდომარის, ალხას კვიცინიას თქმით, ამცახარამ არ მოატყუა ხალხი და არ შექმნა ხელისუფლებასთან ბრძოლის მასშტაბური მოჩვენებითი სურათი. ამიტომ კანდიდატები დაასახელა მხოლოდ 8 საარჩევნო ოლქში და არა 35-ში. ამცახარა მხარს უჭერს სხვა ოპოზიციონერ კანდიდატებს, რომლებიც საინიციატივო ჯგუფებმა დააყენეს.

ფონდ აპრას ხელმძღვანელი ასლან ბჟანია, რომელიც ასევე ანქვაბის მხარდამჭერთა შორისაა, აცხადებს, რომ სახალხო-კრება-პარლამენტი აფხაზეთისათვის სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ინსტრუმენტია.

– ჩვენ, აფხაზებს, იმისთვის გვჭირდება ჩვენი სახელმწიფო, რომ დავრჩეთ ჩვენს პლანეტაზე, რომ გადავრჩეთ. ჩვენი სახლი თუ არ გვექნება, ავითქვიფებით, – აცხადებს ხაჯიმბას მოწინააღმდეგე.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით, დეპუტატობის მსურველებისათვის აფხაზეთში დამატებითი შეზღუდვები დაწესდა. კერძოდ, არჩევნებში კენჭისყრა აეკრძალათ პირებს, რომლებსაც ნასამართლობა მოხსნილი არ აქვთ, ასევე ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ალკოჰოლიზმით დაავადებულებს, ქრონიკული და მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებს.

როგორც ჩანს, აფხაზეთის საზოგადოებისთვის ეს ცენზი საკმარისი არ არის. საზოგადოების დიდი ჯგუფი აცხადებს, რომ 12 მარტის არჩევნებში კანდიდატებად წარმოდგენილია ბევრი სახელგატეხილი ადამიანი. ამ ხალხს პარლამენტი თავისი პირადი ინტერესებისათვის სჭირდება. აქედან გამომდინარე, საზოგადოების დიდი ჯგუფი საჭიროდ მიიჩნევს დეპუტატებისათვის დაწესებული მთელი რიგი შეღავათების გაუქმებას და ამისკენ მოქმედ პარლამენტს მოუწოდებს.

– პარლამენტმა ვერ მოიფიქრა ფილტრაციის სისტემა საეჭვო წარსულისა და საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანებისათვის. თუ ასეთი პირები პარლამენტში მოხვდებიან, საკანონმდებლო ორგანო საბოლოოდ დაკარგავს მოქალაქეთა ნდობას, – აღნიშნულია საზოგადოების მიმართვაში.

მიმართვის ავტორები დარწმუნებული არიან, რომ პარლამენტმა, რომელსაც ვადა მარტში ეწურება, უნდა გააუქმოს დეპუტატის იმუნიტეტი, დაადგინოს პარლამენტის წევრის წელიწადში 24 დღიანი შვებულება, გააუქმოს მაღალი სადეპუტატო პენსია, სხვა უპირატესობები. საზოგადოება იმის წინააღმდეგიცაა, რომ ხალხის რჩეულებს სამსახურებრივი მანქანები მოემსახუროს. მათი აზრით, დეპუტატები სამსახურში მიკროავტობუსებით უნდა დადიოდნენ.

აფხაზეთის არჩევნებში, სავარაუდოდ, მონაწილეობას ისევ ვერ მიიღებს გალის რაიონის ქართველობა. მათ ადრე დარიგებული აფხაზური პასპორტები ჩამოართვეს და მათთვის ბინადრობის მოწმობებიც არ დაურიგებიათ. გალელების 96%-ს საქართველოს მოქალაქის პასპორტები აქვს.

# საქართველოს მთავრობა საერთაშორისო თანამეგობრობას დახმარებას სთხოვს

## რა მიზნით ჩავიდა პუტინის თანაშემწე ცხინვალში

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც იქნა, გაიხსენა რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონები. მათ პატრიოტული გრძნობები ცხინვალის ხელისუფლების ლიდერმა გაუჩინა, რომელმაც სამაჩაბლოსთვის სახელის გადასარქმევად რეფერენდუმი დანიშნა.

რეფერენდუმის ამბავი ცნობილი 7 თებერვალს გახდა, 8 თებერვალს საქართველოს პრემიერმა საგანგებო განცხადება გაავრცელა და საერთაშორისო თანამეგობრობას რეაგირებისკენ მოუწოდა.

– საქართველოს მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკას და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენისაკენ მიმართულ ძალისხმევას, სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაცია პასუხობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების იზოლაციის გაძლიერებითა და მათი ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯებით.

ამის დასტურია გადაწყვეტილება ცხინვალის რეგიონისთვის რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ანალოგიური სახელის მინიჭების თაობაზე რეფერენდუმის დანიშვნასთან დაკავშირებით. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს საოკუპაციო ძალის რეალურ განზრახვას, თავის შემადგენელ ნაწილად აქციოს საქართველოს განუყოფელი რეგიონები, – ვკითხულობთ მთავრობის მეთაურის განცხადებაში.

საერთაშორისო სამართლის თანახმად, უკანონო და ყოვლად მიუღებელია რეფერენდუმის ჩატარება რეგიონში, საიდანაც ეთნიკური წმენდის შედეგად გამოდევნილია ათეულობით ათასი მკვიდრი მოსახლე და ეფექტური კონტროლი ხორციელდება საოკუპაციო ძალის მიერ.

აქედან გამომდინარე კვირიკაშვილი საერთაშორისო თანამეგობრობას დახმარებას სთხოვს.

– მოვუწოდებ საერთაშორისო თანამეგობრობას, ერთიანი ძალისხმევით წინ აღუდგეს რუსეთის ფედერაციის პროვოკაციულ ქმედებებს, ხელი შეუშალოს სუვერენული ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისა და უკანონო ანექსიის პრაქტიკის დამკვიდრებას, რაც ძირს უთხრის რეგიონის სტაბილურობას და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სისტემას, – აცხადებს კვირიკაშვილი.

თიბილოვის ჩანაფიქრი და რუსეთის ქმედებები პარლამენტის პლენარულ სხდომაზეც დაგმეს.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის არჩილ თალაკვაძის განცხადებით, რუსეთი ეძებს გზებს, რომ ოკუპირებულ რეგიონებში უფრო მშვიდად იგრძნოს თავი. დეპუტატის თქმით, მოსკოვს აშფოთებს საქართველოს წარმატება.

– მინდა გამოვეხმაურო ცხინვალის რეგიონში რეფერენდუმის დანიშვნის საკითხს. ეს არის საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევა. ეს არის საოკუპაციო გეგმის ნაწილი და რაც მთავარია, ადგილობრივი მოსახლეობის, ჩვენი ოსი ძმების, რუსეთის მიერ მოტყუების კიდევ ერთი მცდელობა.

მივმართავთ საერთაშორისო საზოგადოებას, თანამეგობრობას, მიიღოს ქმედითი ზომები საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფის ამ აშკარა მცდელობაზე. უნდა გვესმოდეს, რომ



რუსეთს აშფოთებს საქართველოს წარმატება და პროგრესი, ამიტომ ეძებს ახალ გზებს, რომ ოკუპირებულ რეგიონებში უფრო მშვიდად იგრძნოს თავი, – განაცხადა პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას არჩილ თალაკვაძემ.

◆ ◆ ◆

იმ დროს, როცა საქართველოს ხელისუფლების პირველი პირები აღშფოთებას გამოხატავდნენ, ცხინვალში რუსი და ოსი პოლიტიკოსები ერთმანეთს ტკბილად ეჭუკჭუკებოდნენ.

ოსური მედიის ინფორმაციით, 7 თებერვალს ცხინვალში ორდღიანი ვიზიტით ჩავიდა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი. თიბილოვს რეფერენდუმების იდეები სწორედ მისი ვიზიტების დროს უჩნდება თავში. პირველ ჯერზე მას სურკოვმა რეფერენდუმის იდეა თავზე გადაახია, ახლა კი დუმილს ინარჩუნებს.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწეს ცხინვალში ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია. მან რამდენიმე მშენებარე ობიექტი მოინახულა და ადგილობრივ ცესკოში გამართა შეხვედრა.

შეხვედრაზე 9 აპრილს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო საუბარი. ოსი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ სურკოვმა გარკვეული დირექტივები გასცა.

დირექტივები მან პარლამენტს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას და უზენაეს სასამართლოსაც მისცა. რუსეთი ცხინვალისგან ითხოვს, რომ არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიაროს.

# ალექსანდრე ჯეჯელავა: „ევროპაში კი არა, ოჯახში არ ვიქნებით შესაშვები, ჩვენ თუ წესრიგი და სისუფთავე არ გვექნება“

– ევროპაში კი არა, ოჯახში არ ვიქნებით შესაშვები, ჩვენ თუ წესრიგი და სისუფთავე არ გვექნება ისეთი, როგორიც საჭიროა. ქეისები გვაქვს, როცა სკოლას ანგარიშზე აქვს 5.000 ლარი და საპირფარეშოს არ აქვს კარი.

ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ გუშინ, 7 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე, სკოლებში არსებულ ჰიგიენურ მდგომარეობაზე საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, დამლაგებელმა დღეში რამდენჯერმე უნდა დაასუფთაოს საპირფარეშო. ჯეჯელავა ყვება, რომ არის შემთხვევები, როდესაც საპირფარეშო არ არის დასუფთავებული, რადგან ამბობენ, რომ მილებია გამოსაცვლელი.

მინისტრმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც საპონი კარადის თავზე იყო შემოდებული, ამის მიზეზით დაინტერესდა და უპასუხეს, რომ საპონი კარადაზე იყო შემოდებული, რათა „ბავშვი არ მისწვდეს“.

ჯეჯელავას ინფორმაციით, სკოლებში ჰიგიენურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ორმა დირექტორმა საყვედური მიიღო, თუმცა მინისტრს მათი ვინაობა არ დაუკონკრეტებია.



– ეს არის ისეთი პრიმიტიული, ევროპაში კი არა, ოჯახში არ ვიქნებით შესაშვები, ჩვენ თუ წესრიგი და სისუფთავე არ გვექნა ისეთი, როგორიც საჭიროა. რაც შეუძლებელია, გარწმუნებთ, არავის ვთხოვთ. შემთხვევების 90%-ში აღმოჩნდება, რომ უფრო კარგად შეიძლება, ვიდრე მანამდე იყო, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

განათლების მინისტრმა სკოლების დამლაგებლების ხელფასებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვასაც უპასუხა და აღნიშნა, რომ სკოლის დამლაგებლების ხელფასი არ არის უფრო დაბალი, ვიდრე სხვა დამლაგებლების ხელფასია და ეს დაახლოებით 150 ლარის ფარგლებშია.

– ნამდვილად ძალიან დაბალი ხელფასია, უფრო მაღალი რომ იყოს, ჩვენ ძალიან გვინდა და ამ მიმართულებით აუცილებლად წავალთ. მეორე მხრივ, ძალიან ხშირ შემთხვევაში, ადამიანები ყველა სამსახურში ამართლებენ თავიანთ არამაქსიმალურ თავდადებას არაშესაფერისი ანაზღაურებით.

თუ ჩემი თანამშრომელი (სულ ერთია, 1.500-ლარიანი იქნება, 600-ლარიანი, თუ 150-ლარიანი) ამბობს, რომ არ ულირს ამ ხელფასზე მუშაობა, მე ვეუბნები, მაშინ გაატარე, ვისაც ულირს. სოფლებში ხშირად ის 150-ლარიანი ხელფასი ძალიან სერიოზული შემოსავალი შეიძლება იყოს ოჯახისთვის, რომელიც თვითკმარია სხვადასხვა მიმართულებით.

ხელფასი გაიზრდება, ოღონდ, ვინც თვლის, რომ 150 ლარად არ უნდა გააკეთოს თავისი საქმე, იმათთან ვერ ვიმეგობრებთ ნამდვილად, – განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სანდრო თვალჭრელიძე: „ეროვნული ვალუტა ქვეყნისთვის ფულზე მეტია“

## „სხვა ვალუტაზე ოპერირებას საერთოდ ავკრძალავდი“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი სანდრო თვალჭრელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სანდრო, ხელისუფლების, კონკრეტულად კი პრემიერის გეგმა ლარიზაციასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში სკეპტიკურ შეფასებებს იმსახურებს. იზიარებთ მოსაზრებას, რომ ლარიზაციის გეგმა ჩავარდა?***

– არა, ნამდვილად არ ვიზიარებ.

***– რა არგუმენტები გაქვთ?***

– ძალიან მარტივად შემიძლია გითხრათ: სახელმწიფოს, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, უნდა ჰქონდეს პრინციპული პოზიცია და უნდა იცავდეს საკუთარ ვალუტას. არ შეიძლება სხვა ვალუტაში ხდებოდეს ანგარიშსწორება, როდესაც გაქვს ეროვნული ვალუტა. ეროვნული ვალუტა ქვეყნისთვის მხოლოდ ფული არ არის, რომელზეც ხდება ანგარიშსწორება. ეროვნული ვალუტა კიდევ უფრო მეტია. ამიტომ, ეს დამოკიდებულება სრულიად მიუღებელია. მე რომ ვიყო აღმასრულებელი, ამ პოლიტიკას უფრო ხისტად გავატარებდი.

***– რას გააკეთებდით?***

– სხვა ვალუტაზე ოპერირებას საერთოდ ავკრძალავდი. ყველა ჩვენგანი, ამ ქვეყნის მოქალაქეები, სატელეფონო გზავნილებს ვიღებთ ასეთი შინაარსით: იყიდება სახლი ექსკლუზიურ ფასად, მაგალითად, კვადრატული მეტრი 750 დოლარად. წარმოგიდგენიათ, ეს რას ნიშნავს?! ამ კომპანიებს სასტიკად დავსჯიდი.

***– რამდენად იქნებოდა ეს გამოსავალი?***

– სახელმწიფომ ეროვნული ვალუტის გაძლიერებაზე უნდა იზრუნოს, ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა. შენ თუ ხარ სახელმწიფო, თუ გაქვს



**„მარტის ბოლოს ეკონომიკური გეგმის შეჯამება უნდა მოხდეს, რა გვქონდა და რა მივიღეთ“**

საკუთარი თავდაცვა, ასევე უნდა გქონდეს პირველი: ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც არის ეროვნული ვალუტა. წარმოგიდგენიათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ ჩახვიდეთ და ევროში დაიწყოთ ანგარიშსწორება, ამას რა მოჰყვება, ეგრევე დაგაპატიმრებენ.

***– ბატონო სანდრო, აქ საუბარია, რომ ამ გეგმამ არ გაამართლა.***

– ჯერ ამ დასკვნის გაკეთება ნაადრევია. როგორც გითხარით, უფრო ხისტი მიდგომაა საჭირო. არ შეიძლება სახელმწიფო გერქვას, გქონდეს შენი ვალუტა და მის იგნორირებას ახდენდე. ჩვენი ეროვნული ვალუტა ლარია და ნებისმიერი ანგარიშსწორება მხოლოდ ლარში უნდა ხდებოდეს.

ლარი არა მხოლოდ ჩვენი ეროვნული სიამაყის ნაწილია, არამედ კონსტიტუციის იმპერატიული მოთხოვნილებაცაა. შესაბამისად, ბანკის კრედიტი ლარში უნდა ფიქსირდებოდეს, ისევე, როგორც ქვეყანაში არსებული დეველოპერული კომპანიები უნდა ოპერირებდნენ ლარში, ბინებს ლარში უნდა ყიდდნენ და არა – დოლარში, როგორც ეს დღეს ხდება.

***– პრემიერის ოთხპუნქტიან გეგმაზე მაინტერესებს თქვენი პოზიცია.***

– მე ოთხპუნქტიანი გეგმა არ მინახავს, მე ვნახე თეზისები. თუმცა, მე მაინც მომხრე ვარ, რომ მთავრობას მივცეთ დრო.

***– ეს დრო განუსაზღვრელი ხომ ვერ იქნება?***

– ცხადია, მე ვსაუბრობ მარტის ბოლოზე, როდესაც უნდა მოხდეს ერთგვარი შეჯამება, რა გვქონდა და რა მივიღეთ.

***– ლარის კურსთან დაკავშირებით რა მოლოდინები გაქვთ, როგორია თქვენი პროგნოზი?***

– თავის დროზე ლარის შესუსტება მიზანმიმართული პროცესი იყო. თუ ეს მიზანმიმართული პროცესი აღარ იარსებებს, მაშინ, ჩემი პროგნოზით, ზაფხულისთვის ლარის გამყარებას უნდა ველოდოთ, რასაც გარკვეული ფაქტორებიც ხელს შეუწყობს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროექტების განხილვაში, რომლებიც ქვეყნის სტრატეგიას უკავშირდება, აქტიურად უნდა ჩაერთოს საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი. არ შეიძლება მსგავსი სტრატეგიული საკითხები ვიწრო წრეებში წყდებოდეს.

***– ეროვნული ბანკის მოქმედებას, ახალი დირექტორის სტრატეგიას როგორ შეაფასებთ?***

– დადებით შეფასებას ნამდვილად ვერ მივცემ. ეროვნულმა ბანკმა ფულის მასის გაზრდაზე კი არა, მის კარგ მიმოქცევაზე უნდა იზრუნოს. ამისთვის კი ეროვნულ ბანკს ყველა ბერკეტი გააჩნია, თუნდაც დიდი რეზერვები უცხოურ ვალუტაში, მაგრამ აქ საქმე მაღალ პროფესიონალიზმსა და არჩეულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაშია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მინდა გამოვყო – ეროვნული ბანკის მოქმედება, პირველ რიგში, ბანკებთან დაკავშირებით უნდა იყოს უფრო ხისტი. ბანკებზე მეთვალყურეობა და ზედამხედველობა უფრო მნიშვნელოვანი უნდა გახდეს ეროვნული ბანკისთვის.

***– ეს არ იქნება ბიზნესზე ზეწოლად აღქმული?***

– რატომ უნდა იყოს ზეწოლად აღქმული?! არსებობს თამაშის წესები და ყველა უნდა დაემორჩილოს ამ თამაშის წესებს. აბა მიდით და ხელით ითამაშეთ ფეხბურთი, თუ მოგცემენ ამის უფლებას. საქართველოში ბანკები განსაზღვრავენ ბიზნესის თამაშის წესებს და კაპიტალის დაგროვებას უმაღლეს იმპერატივად განიხილავენ.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქვეყანაში სხვადასხვა ჯგუფებს სურთ, ჩვენი მოსახლეობა სრულად მოაქციონ გადაუხდელობისა და უიმედოდ დავალიანების წნეხის ქვეშ. ალბათ საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება ოჯახი, რომელიც ბანკის კრედიტის მარწუხებში არ იყოს მოქცეული. ქვეყანაში ეკონომიკური აღორძინება შეუძლებელია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. ევროპაში სახელმწიფო სექტორი ახლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფართო ეკონომიკის სექტორის განვითარებაში.

# რატომ ამოწმებს „ფრესკოს“ ჯანდაცვის სამინისტრო

## „ბრალდების დადასტურების შემთხვევაში საქმე შსს-ს გადაეცემა“

გუშინწინ, 7 თებერვალს, სოციალურ ქსელში „ფრესკოს“ თანამშრომლების სახელით წერილი გავრცელდა, სადაც ისინი სამსახურში არსებულ მძიმე მდგომარეობასა და თანამედროვე მონობაზე საუბრობენ.

წერილის ავტორები კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, „ფრესკოში“ არსებულ ვითარებასა და ზეწოლაზე მიუთითებენ.

გუშინ, 8 თებერვალს, სუპერმარკეტების ქსელმა აღნიშნული ბრალდება უარყო და ამას გარედან მართული პროცესი უწოდა.

როგორც „კომერსანტს“ „ფრესკოში“ განუცხადეს, კომპანია არ ეთანხმება იმ ბრალდებას, რაც სოციალური ქსელით გავრცელდა.

– ისიც კი არ ვიცით, ეს განცხადება ეკუთვნის თუ არა ჩვენს რომელიმე თანამშრომელს, რადგან ბრალდებები გავრცელდა გაურკვეველი გვერდის საშუალებით. კომპანიას აქვს შინაგანაწესი, რომელსაც ხელს აწერს თითოეული თანამშრომელი, როდესაც საქმდება ჩვენს კომპანიაში.

გათავისუფლებულმა ადამიანებმა იცოდნენ ამ წესის შესახებ. მათ დაარღვიეს შინაგანაწესი, ჰქონდათ დისციპლინარული დარღვევები: სისტემატურად აგვიანებდნენ სამსახურში, არ აწვდიდნენ მომხმარებლებს სრულ ინფორმაციას პროდუქციის შესახებ, არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას, არასწორ ფასს ადებდნენ პროდუქციას. სწორედ ამ დარღვევების გამო ისინი დაჯარიმდნენ. და თუ დარღვევებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა, ისინი გათავისუფლებულები იყვნენ სამსახურიდან, – განაცხადეს „ფრესკოში“.

სუპერმარკეტების ქსელში ამბობენ, რომ გაშვების პროცესი კანონის სრული დაცვით მოხდა.

– მათი თითოეული დისციპლინარული დარღვევა არის დაფიქსირებული.

კომპანიაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, ეს არის ჩვეულებრივი პროცესი, შესაბამისად, „ფრესკო“, თავის გუნდთან, ათასამდე ადამიანთან ერთად, ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას, – განუცხადეს „კომერსანტს“ „ფრესკოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

◆ ◆ ◆

ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი „ფრესკოს“ გარდა, ინსპექტირებას სხვა სუპერმარკეტების ქსელშიც დაიწყებს. თუკი შემოწმების შედეგად დადასტურდება, რომ შრომითი ექსპლუატაცია ნამდვილად ხდებოდა, საქმეს შსს-ს შემდგომი გამოძიებისა და რეაგირებისთვის გადაეცემა.

როგორც „კომერსანტს“ დეპარტამენტში განუცხადეს, წლის განმავლობაში იძულებით შრომასა და შრომითი ექსპლუატაციის ნაწილში, კომპანიების გეგმურად და არაგეგმურად შემოწმება მოხდება.

ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსი, ლევან ჟორ-




ჟოლიანი „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ „ფრესკო“ ამჟამად შემოწმების პროცესშია.

– „ფრესკო“ ამჟამად უკვე მოწმდება და მასში ინსპექტორები შესულები არიან. იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის ნიშნების არსებობის შემთხვევაში რეფერალი შსს-ზე მოხდება, – აღნიშნა ლევან ჟორჟოლიანმა.

ინფორმაციაზე, რომელიც 7 თებერვლის საღამოს სოციალური ქსელის საშუალებით გავრცელდა და დიდი გამოხმაურება მოჰყვა, დეპარტამენტის მიერ მყისიერი რეაგირება მოხდა.

– თუკი აღნიშნული დადასტურდა, ანუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ შრომითი ექსპლუატაცია ნამდვილად ხდებოდა, საქმეს შსს-ს შემდგომი გამოძიებისთვის და რეაგირებისთვის აუცილებლად გადავცემთ. შემდგომ უკვე მათი პრეროგატივაა, ამ თემაზე გამოძიებას დაიწყებენ თუ არა, – განაცხადა ბ-მა ჟორჟოლიანმა.

შემოწმების დროს დეპარტამენტის თანამშრომლები გამოითხოვენ დოკუმენტაციას, დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შეავსებინებენ სპეციალურ ოფიციალურად მინისტრის მიერ დამტკიცებულ კითხვარს.

– ჩვენ მიერ გამოთხოვილი იქნება ყველა საჭირო დოკუმენტაცია, მათ შორის შრომის კონტრაქტები, ასევე ანაზღაურების ჩარიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტები. აქვე ვიტყოდი იმას, რომ ერთია, როდესაც ინფორმაცია ვრცელდება და მეორე, როდესაც ის აუცილებლად გადამოწმებას საჭიროებს. სწორედ გადამოწმების შემდგომ ვისაუბრებთ კონკრეტულად, – განაცხადა ლევან ჟორჟოლიანმა.

მისი თქმით, წლის განმავლობაში იძულებით შრომასა და შრომითი ექსპლუატაციის ნაწილში, კომპანიების გეგმურად და არაგეგმურად შემოწმება ხდება.

– არაგეგმური ისეთი შემოწმებაა, რომელიც 7 თებერვლის შემთხვევის შემდგომ მოხდა და მსგავს შემოწმებაზე მყისიერი რეაგირება მოხდება. მისი განხორციელება შესაძლებელია ცხელი ხაზის, მეილის, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით. ჩვენთვის ყველა შეტყობინება რეაგირების საფუძველია. შემოწმება დაწყებულია და გეგმურად ყველა სუპერმარკეტის ქსელში მოხდება, – აღნიშნა ლევან ჟორჟოლიანმა.

**ლიკა გურაბანიძე, კომერსანტ.გე**

# თბილისში ახალი საცხოვრებელი უბანი იქმნება

## მშენებლობის დასაწყებად ინვესტორი მერიის თანხმობას ელოდება

თბილისში მუხიანსა და გლდანს შორის ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობისათვის ინვესტორი მერიის თანხმობას ელოდება.

პროექტს კომპანია „ბრუმველი“ ახორციელებს. მისი პარტნიორი კი საქართველოში ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, ლაშა ჟვანიას კომპანია „გლობალ უნი გრუპია“ .

ლაშა ჟვანია რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ 2016 წლის ბოლოსთვის მერიასთან სამუშაოების დასრულების იმედი ჰქონდათ, თუმცა არქიტექტურის სამსახურმა პროექტთან დაკავშირებით გარკვეული შენიშვნები წარმოადგინა, რაზეც მიდის მუშაობა.

ჟვანიას თქმით, გეგმის დამტკიცებას დაახლოებით მარტისთვის ელოდებიან და დაიწყება ინვესტიციის შემოსვლა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

ეკონომიკის ყოფილი მინისტრის თქმით, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ინვესტიცია, რომელიც ბოლო ათწლეულების განმავლობაში განხორციელდა ქვეყანაში.

ჟვანიას განმარტებით, ტერიტორია მუხიანსა და გლდანს შორის 60 ჰექტარზე მდებარეობს. მიწა კერძო საკუთრებაა, ნაყიდი აქვს ინვესტორს და დიდი ხანია ცდილობს დაიწყოს ტერიტორიის განვითარება. მისივე თქმით, ახალი უბანი ხელმისაწვდომი იქნება საშუალო და საშუალო პლუს კლასისთვის. აქ იქნება სრული განაშენიანება.

– „ბრუმველმა“ ახალი უბნის მშენებლობა დაასრულა ჩეხეთში და თბილისშიც ანალოგიური კონცეფცია გადმოაქვს. ეს იქნება დაბალსართულიანი კორპუსები, რადგან არ შეიძლება ლანდშაფტი და მხედველობა დააზიანოს მაღალსართულიანმა კორპუსებმა. ეს არის ევროპული სტანდარტებით მოაზროვნე კომპანია, რომელმაც ზუსტად იცის, რა არის მსოფლიოს თანამედროვეობისთვის მისაღები კონცეფცია. დღეს საზოგადოება ეძებს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს, მეტ გამწვანებას, ვიდრე ქალაქშია, – აცხადებს ჟვანია.



მისი მონაცემებით, საუბარი არის ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტის ინვესტიციაზე.

ამ ეტაპზე აქტიურად მიდის მერიასთან, არქიტექტურის სამსახურთან და მუნიციპალიტეტთან მუშაობა, რომ ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე პროექტის განხორციელება დროულად დაიწყოს.

„ბრუმველი“ დიდი კომპანია, რომელსაც დეველოპმენტის კუთხით გამოცდილება აქვს აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ისრაელში, ბოლო პროექტი კი, რომელიც განახორციელეს, პრაღაში საცხოვრებელი დასახლების შექმნაა.

– ეს არის საკმაოდ მსხვილი კომპანია, რომელსაც ცნობილი მეპატრონეები ჰყავს, მისი დამფუძნებლებიდან ერთ-ერთი როთშილდების ცნობილი ოჯახის ფონდის გენერალური დირექტორი იყო და ამ ფონდმა ისრაელის სახელმწიფოს უზენაესი სასამართლოს და ქნესეთის შენობა ააშენა, რომელიც შემდეგ როთშილდებმა ისრაელს საჩუქრად გადასცეს, – განმარტავს ლაშა ჟვანია.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# საქართველოში შვეიცარიული „შტადლერის“ 2 ახალი მატარებელი შემოვა

საქართველოში შვეიცარიული კომპანია „შტადლერის“ კიდევ ორი ახალი მატარებლები შემოვა.

„შტადლერის“ მატარებელი ბათუმის მიმართულებით იმგზავრებს.

როგორც კომპანიის დირექტორი აცხადებს, ამ ეტაპზე „შტალდერის“ წარმომადგენლები საქართველოს რკინიგზაში მუშაობენ და მათ პრაქტიკულ ცოდნას აწვდიან.

– გვსურს, მადლობა ვუთხრათ საქართველოს რკინიგზას პროექტში ჩართვისა და თანამშრომლობისთვის, – აცხადებს კომპანია „შტალდერის“ დირექტორი.



# პარლამენტმა მანანა კობახიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ დაამტკიცა

## მანანა კობახიძე: „ჩემი პოლიტიკური კავშირები უკვე წარსულია“



გუშინ, 8 თებერვალს, საქართველოს პარლამენტმა დეპუტატი მანანა კობახიძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ აირჩია.

პლენარულ სხდომაზე მანანა კობახიძის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არჩევასა და მისთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტას ეყარა კენჭი, რასაც 101-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. საკითხის წინააღმდეგ 10 დეპუტატი წავიდა.

– მანანა კობახიძე არჩეულია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად. ვულოცავთ და ვუსურვებთ წარმატებულ საქმიანობას ამ საპატიო საქმიანობაზე, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძემ.

საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლის ერთი თანამდებობა, რომელზეც კანდიდატურა პარლამენტს უნდა წარედგინა, სექტემბრიდან ვაკანტური იყო.

წარდგენის ვადა და ამ თვალსაზრისით „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი ნორმა კანონმდებლებმა დაარღვიეს, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრის გამწესება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არა უადრეს ერთი თვისა და არა უგვიანეს ათი დღისა უნდა მოხდეს.

მანანა კობახიძე პარლამენტს ფრაქცია „ქართულმა ოცნებამ“ წარუდგინა.

---

– ჩემი ყოველგვარი პოლიტიკური კავშირები უკვე წარსულია.

ამის შესახებ მანანა კობახიძემ საქართველოს პარლამენტში, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ დამტკიცების შემდეგ განაცხადა.

როგორც ქ-მა კობახიძემ განმარტა, მისი არჩევა კონსტიტუციის შესაბამისად მოხდა და მოსამართლის რანგში ის სწორედ კონსტიტუციური წესრიგის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

კობახიძემ საქართველოს პარლამენტს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

– ცხადია, რომ ამ წუთიდან მთელი ჩემი ანგარიშვალდებულება ეკუთვნის საზოგადოებას და, ბუნებრივია, კონსტიტუციური წესრიგის, ადამიანის უფლებების სამსახურში ვიქნები. შესაბამისად, ყოველგვარი პოლიტიკური კავშირები არის უკვე წარსული.

ჩემი მხრიდან იქნება გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებული იქნება მხოლოდ კონსტიტუციის პრინციპებიდან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, იმ შინაგანი რწმენით, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა მოსამართლემ.

ამ ყველაფრის დემონსტრირება მოხდება იმ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, რომელთაც, როგორც მოსამართლე, ხელს მოვაწერ. საზოგადოება დაინახავს, თუ რას ემსახურება მანანა კობახიძე მომავალში – ემსახურება კონსტიტუციას, მის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და კონსტიტუციური წესრიგის დამკვიდრებას.

იმ წუთიდან, როდესაც კანონი შედის ძალაში, ყოველგვარი კავშირი მის ავტორთან, მის შემოქმედთან არის გაწყვეტილი. ეს კანონები არის მოქმედი კანონები. თუ გამოიკვეთა, რომ რაიმე არის მათში არაკონსტიტუციური, ვცნობთ არაკონსტიტუციურად. ასე რომ, ეს გათავისებული და გააზრებულია ჩემი მხრიდან.

არავითარი პოლიტიკური განცხადება ჩემი მხრიდან არ გაკეთდება, საჯარო სივრცეში ურთიერთობა იქნება შეწყვეტილი, რადგან სასამართლოს მოსამართლის მხრიდან ეს იკრძალება. შესაბამისად, მე უნდა დავემორჩილო კონსტიტუციის მოთხოვნას, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

# პოლიციელმა ეჭვიანობის ნიადაგზე მეზობლის მოკვლა ცადა

## განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ნუგზარ დახუნდარიძეს 7,5 წელი მიესაჯა



ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობაში, მუქარასა და სხვისი ნივთის დაზიანებაში ნუგზარ დახუნდარიძე დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ქუთაისის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უბნის უფროსმა ინსპექტორ-გამომძიებელმა ნუგზარ დახუნდარიძემ ეჭვიანობის მოტივით განიზრახა მისი მეზობლის, მინდია სულაძის, მოკვლა.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ნუგზარ დახუნდარიძე 2016 წლის 5 მაისს დაახლოებით 18:30 საათზე ქ.ქუთაისში მივიდა მინდია სულაძის საცხოვრებელ სახლთან და მის მფლობელობაში არსებული, სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა საძინებლის და შესასვლელის მიმართულებით, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მინდია სულაძისთვის იმავე დღეს ცნობილი გახდა, რომ მასზე თავდასხმის მცდელობა ნუგზარ დახუნდარიძემ განახორციელა და დახმარებისთვის მისი დის მეუღლეს, ადვოკატ ავთანდილ ბუსხრიკიძეს მიმართა, რომელმაც გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში 112-ზე დარეკა და დანაშაულის შესახებ შეატყობინა.

შეტყობინებიდან რამდენიმე წუთში ნუგზარ დახუნდარიძე ავთანდილ ბუსხრიკიძეს მობილური ტელეფონით დაუკავშირდა და მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. შემდეგ კი, გაიგო რა, რომ მის ქმედებას მინდია სულაძის სიცოცხლის მოსპობა არ მოჰყოლია, ისევ მიბრუნდა შემთხვევის ადგილზე, სადაც უკვე პოლიციის თანამშრომლები იყვნენ მისულები.

იგი გინებით და მოკვლის მუქარით გაემართა მინდია სულაძისკენ და მოკვლის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღიდან სამჯერ დამიზნებით ესროლა, მაგრამ ააცილა.

ნუგზარ დახუნდარიძე იქ მდგომმა პირებმა განაიარაღეს და დანაშაულის ადგილს განარიდეს. შემთხვევის ადგილის დატოვებისას ნუგზარ დახუნდარიძე მინდია სულაძესა და ავთანდილ ბუსხრიკიძეს კვლავ დაემუქრა პირადი და ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით, რის გამოც მათ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში გაუჩნდათ.

პროკურატურის თანამშრომლებმა ნუგზარ დახუნდარიძე დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მესამე ნაწილით (ხულიგნობა, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით და ძალადობის მუქარით) 19, 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა), 151-ე მუხლით (მუქარა ე.ი. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში) და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ნუგზარ დახუნდარიძე დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით, 151-ე და 187-ე მუხლებით, ხოლო 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

ნუგზარ დახუნდარიძეს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 6 თვის ვადით.

# შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1994 წელს დაბადებული გ.ლ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, მაკაროვის სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი, „ნაგანის“ ტიპის არარეგისტრირებული პისტოლეტი, მჭიდი და 8 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

# ცაიშში ავარიისას დაშავებული ახალგაზრდა გარდაიცვალა



სოფელ ცაიშში ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაშავებული ახალგაზრდა მამაკაცი ზუგდიდის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს მედპერსონალი აცხადებს, რომ დაშავებულს სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანებები ჰქონდა მიყენებული.

ავარია ცაიშში 7 თებერვალს ღამით მოხდა.

როგორც ,ნიუპოსტს' თვითმხილველები უყვებიან, მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა, სავარაუდოდ, საჭე ვერ დაიმორჩილა და ხიდიდან მდინარეში გადავარდა.

ავტომობილიდან მძღოლის ამოყვანა სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა შემთხვევიდან დაახლოებით ერთ საათში შეძლეს.

# ნინოწმინდასა და სადახლოზე მარიხუანა აღმოაჩინეს



28 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „ნინოწმინდა“ და „სადახლო-საავტომობილო“, მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე და თავალიერების შედეგად, ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა (3,11 გრამი) აღმოაჩინეს.

საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულებს გადაეცათ.

**ნიუპოსტი**

# დისშვილთან სექსუალური კავშირის დამყარების ბრალდებით ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს




დისშვილთან სექსუალური კავშირის დამყარების ბრალდებით სამართალდამცველებმა ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს.

აღნიშნულ ინფორმაციას ტელეკომპანია „იმედი“ ავრცელებს.

„ქრონიკის“ ინფორმაციით, შემთხვევა თბილისში, გლდანის რაიონში მოხდა. ახალგაზრდა მამაკაცს პოლიცია 10 წლის ბიჭთან სექსუალური კავშირის დამყარებას ედავება.

# ვანო მთვრალაშვილი: „იანვრის ბოლოდან საწვავზე ფასების მატებას აქციზის გადასახადის ზრდა იწვევს“



– იანვრის ბოლოდან საწვავზე ფასების მატებას აქციზის გადასახადის ზრდა იწვევს, – აცხადებს ბიზნესკონტრაქტთან საუბრისას ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი.

მისი თქმით, კომპანიების ნაწილმა საკუთარი პროდუქციის ფასზე აქციზის გადასახადის ზრდა ასახა, ნაწილი კი ამას მომავალში გააკეთებს.

– ფასების ზრდა განპირობებული იყო რამდენიმე ფუნდამენტური ფაქტორით, მათ შორის ლარის გაცვლითი კურსით დოლართან, საერთაშორისო ფასით პლაცის მიხედვით, რაც მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, მესამე ფაქტორია საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილება, რაც აქციზური გადასახადის ზრდას მოიცავდა.

თითოეული ფაქტორის მოქმედება დროში მყისიერად არ ხდება და ისინი ეტაპობრივად ახდენენ გავლენას, შესაბამისად, ფასების მატება მყისიერი არ ყოფილა.

მიმდინარე პერიოდისთვის, კომპანიების ნაწილმა აქციზის ზრდა ნაწილობრივ ასახეს ფასზე, ნაწილს კი არ აუსახავს. მთლიანად მისი ასახვა ჯერ არ მომხდარა. ერთადერთი კომპონენტი, რომელიც მიმდინარე ეტაპზე საწვავის ფასზე იმოქმედებს, აქციზის გადასახადის ზრდა იქნება, – განაცხადა მთვრალაშვილმა.

**ბიზნესკონტრაქტი**

# ქართული წარმოების ფრი ბაზარზე გამოჩნდა




ქართული წარმოების ფრი ბაზარზე გამოჩნდა.

ამის შესახებ ბიზნესკონტრაქტს კომპანია „ფრეკოს“ დამფუძნებელმა ირაკლი ქურდაძემ განუცხადა.

ქართველ მომხმარებელს ქართული წარმოების ფრის ყიდვა შეუძლია ჰიპერმარკეტ „აგროჰაბში“, ასევე თბილისის კვების სხვადასხვა ობიექტებში.

ქურდაძის თქმით, მოთხოვნა ბაზარზე მაღალია, შესაბამისად, კომპანია ცდილობს, დროდადრო ჩაანაცვლოს იმპორტული პროდუქცია. ფასები მაქსიმალურად მორგებულია ადგილობრივ ბაზარზე, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ პროდუქტის ხარისხი მაღალია, საცალო ფასი აგროჰაბში 4,80 ლარია.

ამასთან, კომპანია სექტემბრიდან იწყებს ქართული, ეკოლოგიურად სუფთა ჩიფსის სატესტო წარმოებას, რომელიც მორგებული იქნება საბავშვო სეგმენტზე.

პირველ წელს მოხდება დაახლოებით 200.000 ცალი მცირე, 25 გრამიანი პაკეტის წარმოება.

**ანი ჯოხაძე, ბიზნესკონტრაქტი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# მერკელი: „რუსეთისთვის სანქციების მოხსნა ჯერ ადრეა“

## გერმანიის კანცლერი პოლონეთს ესტუმრა




გერმანია და პოლონეთი მუდამ გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგენი იყვნენ. მას შემდეგაც კი, როცა პოლონეთი ევროკავშირისა და ნატოს წევრი გახდა, გერმანიასთან ურთიერთობებში ვარშავა ერთგვარ დისტანციას ინარჩუნებდა.

ახლა მდგომარეობა შეიცვალა. შექმნილი ვითარება როგორც გერმანიას, ასევე პოლონეთს აიძულებს, მჭიდროდ ითანამშრომლონ. პოლონეთში ოფიციალური ვიზიტით ჩასულ მერკელსაც გულთბილი დახვედრა მოუწყვეს.

მერკელი შეხვდა და ესაუბრა პოლონეთის პრემიერ ბეატა შიდლოს, პრეზიდენტ ანჟეი დუდას, მმართველი პარტიის ლიდერ კაჩინსკის.

მოლაპარაკებების ერთ-ერთი ძირითადი თემა დონბასში შექმნილი მდგომარეობა და რუსეთთან ურთიერთობა იყო. შიდლომ და მერკელმა აღნიშნეს, რომ დონბასის კონფლიქტი მშვიდობიანი, დიპლომატიური საშუალებებით უნდა მოგვარდეს. მხარეებმა დააფიქსირეს ერთსულოვანი პოზიცია დონბასში ესკალაცის მიმართ. როგორც შიდლომ, ისე მერკელმა აღნიშნეს, რომ ესკალაციის მიზეზი რუსეთის აგრესიაა.

აქედან გამომდინარე დაფიქსირდა ერთობლივი პოზიცია რუსეთისთვის დაწესებული სანქციების მიმართაც.

ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ რუსეთისთვის სანქციების მოხსნა ჯერ ადრეა. აგრესია და მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის დაკავების მცდელობა არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს.

შიდლომ თავის მხრივ შენიშნა:

– პოლონეთი მუდამ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაძლიერების მომხრე იყო.

ზუსტად იმ დროს, როცა მერკელი ვარშავაში რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების შენარჩუნების შესახებ მსჯელობდა, გერმანიის ელჩმა უკრაინაში რეიხელმა განაცხადა:

– არ არის აუცილებელი, რომ არჩევნები დონბასში გაიმართოს მაშინ, როცა ყველა დასახლებულ პუნქტზე უკრაინული დროშა აღიმართება, ხოლო საზღვარი უკრაინელთა კონტროლქვეშ გადავა!

ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი თვლის, რომ რეიჰელის სიტყვებსა და ვარშავაში მერკელის მიერ დაფიქსირებულ პოზიციებს შორის განსხვავება არ არის შემთხვევითი. მერკელმა დააფიქსირა რუსეთის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. ამავე დროს რეიჰელის მეშვეობით პუტინს მიანიშნეს, რომ ევროპა მზადაა კომპრომისისთვის, თუკი დონბასის პრობლემის დარეგულირებაში პროგრესი დაიწყება.

მიუხედავად ამისა, ექსპერტების უმრავლესობა ერთსულოვანია იმაში, რომ ევროპა რუსეთის სანქციებს კიდევ 6 თვით გააგრძელებს. რაც შეეხება დონბასის კონფლიქტს, აქ მხარეები უახლოვდებიან მომენტს, როცა მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი კომპრომისი მოხდება, ანუ რუსებიც და უკრაინელებიც გარკვეულ პრინციპულ დათმობებზე წავლენ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ტრამპმა ერდოღანს დაურეკა



აშშ-ის პრეზიდენტი დონალ ტრამპი ტელეფონით თავის თურქ კოლეგას რეჯებ ერდოღანს დაუკავშირდა.

საუბრის ძირითადი თემა თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობები იყო.

ტრამპმა აღნიშნა, რომ მისი ადმინისტრაცია თურქეთთან ურთიერთობებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. მან მაღალი შეფასება მისცა ერდოღანის წვლილს ტერორიზმთან ბრძოლაში.

– იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა ახლო მომავალში კიდევ უფრო მჭიდრო გახდება, – თქვა ტრამპმა.

# აშშ-ს განათლების ახალი მინისტრი ჰყავს



აშშ-ს განათლების ახალი მინისტრი ჰყავს. ეს პოსტი ბეტსი დევოსმა დაიკავა.

მის დამტკიცებას კონგრესში დიდი ვნებათაღელვა მოყვა. დემოკრატებმა და ორმა რესპუბლიკელმა მას უარყოფითი ხმა მისცეს. ხმები გაიყო შუაზე. გადამწყვეტი ვიცე-პრეზიდენტ მაიკლ პენსის პოზიცია აღმოჩნდა. მან დევოსს მხარი დაუჭირა.

ეს აშშ-ის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა განათლების მინისტრის დამტკიცებაში გადამწყვეტი სიტყვა ვიცე-პრეზიდენტმა თქვა.

# ლიტვა ნატოს ჯარებს ეგებება



ლიტვაში ნატოს ჯარების ახალი ქვედანაყოფები შევიდნენ. მოსახლეობა მათ სიხარულით შეეგება.

პრეზიდენტმა გრიბაუსკაიტემ აღნიშნა, რომ ნატო ევროპაში სტაბილურობის უმთავრესი გარანტია.

– რუსეთმა კურსი იმპერიის რესტავრაციისკენ აიღო და არც ძალის გამოყენებას ერიდება! ის ფაქტი, რომ ჩვენთან ნატოს ჯარები შემოვიდნენ, რუსული აგრესიისგან დაცვის საუკეთესო გარანტია, – თქვა გრიბაუსკაიტემ.

# შოტლანდიის პარლამენტი ბრექსიტის წინააღმდეგ



შოტლანდიის პარლამენტმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ბრექსიტის საწინააღმდეგო დადგენილება მიიღო.

მასში ნათქვამია, რომ შოტლანდია ევროკავშირის ბაზართან ურთიერთობებს შეინარჩუნებს.

– მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთმა კურსი ევროკავშირისგან გამიჯვნისკენ აიღო, ჩვენ ევროკავშირთან ვრჩებით და გვსურს, რომ ლონდონმა ჩვენს ამ მისწრაფებას პატივი სცეს, – ნათქვამია დადგენილებაში.

# ოლანდმა პოლიციის ძალადობის მსხვერპლი საავადმყოფოში მოინახულა



საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა ახალგაზრდა მამაკაცი, სახელად ტეო, საავადმყოფოში მოინახულა.

2 თებერვალს ტეოს რამდენიმე პოლიციელთან კონფლიქტი მოუვიდა, რის შემდეგაც მას სასტიკად გაუსწორდნენ. როგორც დაზარალებული ამბობს, ის პოლიციელის ხელკეტით გააუპატიურეს კიდეც.

ამ ინციდენტმა პარიზში საპროტესტო აქციები გამოიწვია და უამრავმა ადამიანმა გამოხატა სოლიდარობა დაზარალებული მამაკაცის მიმართ. გაჩნდა ინფორმაცია, რომ პოლიციელთა აგრესია რასიზმით იყო გამოწვეული, რადგან ტეო შავკანიანია.

ოლანდმა განაცხადა, რომ გმობს ყველანაირ ძალადობას და ამ საქმეში დამნაშავეებს გამოძიება დაადგენს.

ჯერჯერობით ამ ინციდენტთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი პოლიციელია დაკავებული.

# ალექსეი ნავალნი ქონების მითვისებაში დამნაშავედ ცნეს



რუსეთის ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციონერი ალექსეი ნავალნი კიროვის სასამართლომ ქონების მითვისებაში დამნაშავედ ცნო.

ნავალნის ბრალად ედება 2009 წელს 500.000 დოლარის მითვისება, როდესაც ის კიროვის ერთ-ერთ ხე-ტყის სამშენებლო კომპანიაში მუშაობდა.

ნავალნის 5-წლიანი პირობითი სასჯელი ემუქრება და ის ციხეში არ ჩაჯდება, თუმცა ეს სასჯელი მას ხელს შეუშლის 2018 წლის რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაში.

ნავალნი უარყოფს ყველა ბრალდებას და ამბობს, რომ ეს საქმე სპეციალურად არის შეთითხნილი იმისთვის, რომ ის პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოაშორონ. ოპოზიციონერმა განაცხადა, რომ არ დანებდება და განაგრძობს ბრძოლას სამართლიანობის აღსადგენად.

ალექსეი ნავალნი გამოირჩევა თავისი კრიტიკით ვლადიმერ პუტინის მიმართ.

მისი აზრით, რუსეთი მთლიანად კორუფციაშია ჩაფლული. ნავალნი რუსეთს ქურდების და თაღლითების ქვეყანას უწოდებს.

# ტრამპი: „პუტინს არ ვიცნობ“



ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავის კოლეგა ვლადიმერ პუტინზე ისაუბრა და თქვა, რომ მას კარგად არ იცნობს.

ტრამპის თქმით, პუტინი საინტერესო ფიგურაა მსოფლიო პოლიტიკაში, მაგრამ მასთან პირადი შეხება არ ჰქონია.

– პუტინს პირადად არ ვიცნობ, რადგან რუსეთში ბიზნესთან დაკავშირებული საქმეები არ მქონია. პუტინი უდავოდ საინტერესო ფიგურაა, მაგრამ მასთან ახლო ურთიერთობა ნამდვილად არ მაქვს, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

მიუხედავად ასეთი განცხადებისა, ინტერნეტში გაჩნდა ვიდეო, რომელშიც ტრამპის 2013 წლის ინტერვიუა, სადაც ტრამპი პუტინზე სხვა ტონით საუბრობს.

მაშინ ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტი რუსეთში იმყოფებოდა სილამაზის კონკურსთან დაკავშირებით და პუტინიც მოინახულა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ჯიჯი ბუფონი: „12 წლის რომ ვიყო, ისევ კარში ჩავდგებოდი“



39 წლის ჯანლუიჯი ბუფონს 5 მსოფლიოს ჩემპიონატზე აქვს ნათამაშევი. მომავალ წელს უკვე მეექვსედ ითამაშებს მუნდიალზე და ალბათ სანაკრებო კარიერასაც დაასრულებს.

ტურინის იუვენტუსის მეკარესთან ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— თუ იცით, რამდენი მატჩი გაქვთ კარიერაში ჩატარებული?***

— დავფიქრდე. ზუსტად ვერ გეტყვით... სერია ა-ში დაახლოებით 600 მატჩი უნდა მქონდეს ჩატარებული. დავამატოთ ამას სხვა თამაშები და სადღაც 800 გამოვა ალბათ.

***— შეცდით. ზუსტად 1.014 ოფიციალური მატჩი გაქვთ ჩატარებული.***

— მართლა? ცოტა შემრცხვა, რომ ასეთი შეცდომა დავუშვი. ვერ წარმოვიდგენდი თუ 1.000-ზე მეტი მატჩი მქონდა ჩატარებული.

***— კიდევ შეგრჩათ მოტივაცია და ემოციები?***

— მთავარი მატჩების რაოდენობა კი არა, დასახული მიზნებია. თითოეული თამაში ჩემთვის დიდი გამოწვევაა და არც მოტივაციის ნაკლებობას ვუჩივი.

***— როდესაც იცით, რომ კარიერაში 1.000-ზე მეტი მატჩი გაქვთ ჩატარებული, ეროვნული ნაკრების მაისური კი 167-ჯერ მოირგეთ და ამ მხრივ, ევროპაში რეკორდსმენი ხართ, ხვდებით, თუ რაოდენ დიდია თქვენი საფეხბურთო კარიერა?***

— ციფრებზე და წარსულზე არ ვფიქრობ. ჩემი კარიერა გრძელდება, წინ დიდი მიზნები მაქვს და მირჩევნია მომავალზე ვიფიქრო.

***— რა არის ყველაზე რთული ვეტერანი ფეხბურთელისთვის, რომელიც უმაღლეს დონეზე განაგრძობს თამაშს?***

— როდესაც დიდი გამოცდილება, ბევრი წარმატება თუ წარუმატებლობა გაგაჩნია, რთულია, თითოეული მატჩისთვის მაქსიმალურად იყო მობილიზებული. ამიტომაც ვეტერან ფეხბურთელებს ხშირად მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ.

თუ წინ დიდი თამაშია, იქ განწყობა ყოველთვის საბრძოლოა, მაგრამ როდესაც აუტსაიდერს ხვდები, საკუთარი თავისთვის ძალის დატანება გიწევს. არადა, თანამედროვე ფეხბურთში ოდნავ მოდუნებასაც არავინ გაპატიებს. ჩემი წარმატების საიდუმლო ისაა, რომ ყოველთვის მოტივირებული ვარ.

***— რას ურჩევთ ვეტერანებს, როგორ უნდა შეინარჩუნონ მოტივაცია 40 წლამდე?***

— მე მეკარე ვარ და ვიცი, რომ ჩემი ერთი შეცდომა შესაძლოა, ფატალური გამოდგეს და გუნდმა მარცხი განიცადოს. ამიტომ, მოდუნების უფლება არ მაქვს. ჩემი ამპლუა მეხმარება იმაში, რომ ყოველთვის ფორმაში ვიყო. თითოეულმა ფეხბურთელმა კი, თავის თავში უნდა მონახოს ძალა, თუმცა ეს ბევრს არ გამოსდის.

***— ტოტიმ, მალდინიმ და ძანეტიმ კარიერა ერთ გუნდს მიუძღვნეს და თქვენსავით დიდ ხანს ითამაშებს. როგორც ჩანს, ერთ გუნდში ყოფნა კარიერას ახანგრძლივებს.***

— ვერ დაგეთანხმებით. ამ ფეხბურთელებმა დიდხანს ითამაშეს არა იმიტომ, რომ ერთ გუნდს მიუძღვნეს კარიერა, არამედ იმიტომ, რომ უდიდესი პროფესიონალები არიან. გაცილებით რთულია არ დაკარგო მოტივაცია მაშინ, როდესაც 20 წელი ერთ ადგილზე ხარ, ერთ ბაზაზე ვარჯიშობ და ერთსა და იმავე ადამიანებს ხედავ. თანაც, თქვენ მიერ ხსენებულმა ფეხბურთელებმა მთელი კარიერა იტალიურ გრანდებში გაატარეს.

როგორია, 40 წლის ასაკში დიდ გუნდში შეინარჩუნო ადგილი და ახალგაზრდებს კონკურენცია გაუწიო? ბევრად მარტივია, წახვიდე შედარებით სუსტ გუნდში და იქ გააგორო ბურთი.

***— მაშინ, რატომ არ იცვლიდით ხშირად კლუბს?***

— იმიტომ, რომ მაქვს გარკვეული ფასეულობები, რომლებიც ჩემთვის ყველაზე მთავარია. მიყვარს ეს გუნდი, ის ხალხი, ვისაც აქ ვხედავ და ის გულშემატკივრები, რომელთა მხრიდან ყოველთვის დიდ დაფასებას ვგრძნობ.

***— ანუ, თქვენ გიყვართ იუვენტუსი და მიზეზიც ესაა?***

— რა თქმა უნდა და ამიტომ ვარ ამ გუნდში ამდენი წელია. თუმცა, ჩავხედოთ რეალობას და ვაღიაროთ, რომ რაც არ უნდა გიყვარდეს გუნდი, თუ იქ ამბიციებს ვერ იკმაყოფილებ, წასვლაზე დაფიქრდები. იუვე კი დიდი გუნდია, აქ ყოველთვის ტიტულებისთვის იბრძვი და ამიტომ, სხვაგან წასვლის მიზეზი უბრალოდ არ მქონდა.

***— ესპანეთთან შეხვედრაში შეცდომა დაუშვით, რაც იტალიის ნაკრებს გაშვებულ გოლად დაუჯდა. მაშინვე დაიწყეს ლაპარაკი თქვენ ასაკზე და რამდენად იმოქმედა ამან თქვენზე?***

— ყველა უშვებს შეცდომებს, მაგრამ როდესაც ეს მე მემართება, ყოველთვის განსაკუთრებული აჟიოტაჟია. შეცდომა დამიშვია 25 წლის ასაკშიც, რადგან ეს ჩემი სამუშაოს შემადგენელი ნაწილია. როდესაც მივხვდები, რომ შეცდომა ასაკის ბრალია, მაშინ კი აუცილებლად დავასრულებ კარიერას.

***— ესპანეთთან მატჩის შემდეგ, ჩემპიონთა ლიგაზე ლიონს ეთამაშეთ და იქ საოცრებები აკეთეთ. ეს თქვენი პასუხი იყო კრიტიკაზე?***

— კრიტიკა მოტივაციას მმატებს და შესაძლოა, ეს მართლაც ასე იყო. პირველ რიგში, საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ ის შეცდომა შემთხვევითობა იყო და შემდეგ მათ, ვინც ერთი შეცდომის გამო ჩამომწერეს.

***— ფიქრობთ კარიერის დასრულებაზე?***

— ჩემი მთავარი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშია. ეს იქნება ჩემი მე-6 მუნდიალი და ამაზე ფიქრი მოტივაციას მიათმაგებს. იქ ჯერ მოხვედრაა საჭირო და პირადად მე ამისთვის ძალას არ დავიშურებ. მუნდიალის შემდეგ კიდევ 1-2 წელი თამაში ჩემთვის უკვე უინტერესო იქნება.

***— ანუ, 2018 წლის მუნდიალის შემდეგ, კარიერას დაასრულებთ?***

— თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ასე იქნება.

***— იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთივე კარგ ფორმაში იქნებით?***

— ვფიქრობ, შესანიშნავია, როდესაც კარიერას ასრულებ იმიტომ, რომ უბრალოდ შენ ასე გადაწყვიტე და არა იმიტომ, რომ აღარ შეგიძლია.

***— ბარიში იტალიამ საფრანგეთს უმასპინძლა, გულშემატკივრებმა კი სტუმართა ეროვნული ჰიმნი სტვენით ჩაახშეს, რამაც თქვენი აღშფოთება გამოიწვია. მაშინ ქომაგები გააკრიტიკეთ.***

— ეროვნული ჰიმნის უკან დგას მილიონობით ადამიანი, ქვეყნის ისტორია. როდესაც უსტვენ ჰიმნს, ამით შეურაცხყოფას აყენებ ყველაფერ იმას, რაც მის უკან დგას. დიდ პატივს ვცემ საფრანგეთს, მიყვარს ფრანგი ხალხი და ჩემთვის მიუღებელია ჩვენი ქომაგების ასეთი ქმედება.

***— იტალიის ეროვნულ ჰიმნს ყოველთვის განსაკუთრებული ემოციით მღერით.***

— რაც უფრო შევდივარ ასაკში, ეს ემოციაც უფრო მატულობს. შესაძლოა იმიტომ, რომ ვგრძნობ, მალე ჩემი სანაკრებო კარიერა დასრულდება. ჩემი წინაპრები ამ ქვეყნისთვის იბრძოდნენ და პირველ სამამულო ომში დაიღუპნენ. შეუძლებელია სიტყვებით იმ ემოციის გადმოცემა, რასაც ეროვნული ჰიმნის დროს განვიცდი. ეს უდიდესი მუხტია, რომელიც შემდეგ მთელი თამაში მიმყვება.

***— იყო ჩემპიონი და დიდი სპორტსმენი, გაკისრებთ პასუხისმგებლობას, იყოთ მისაბაძი მაგალითი ბავშვებისთვის?***

— სიმართლე გითხრათ, ასეთ მიდგომას არ ვეთანხმები. ნუ დავაკისრებთ ფეხბურთელებს იმაზე მეტ პასუხისმგებლობას, ვიდრე ეკუთვნით, რადგან ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. გამიხარდება, თუ ახალგაზრდა მეკარე მომბაძავს ჩემს საქმეში, მაგრამ თუ როგორ უნდა იცხოვროს, ეს მშობლებმა აუხსნან.

***— დღეს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე უფრო ხშირად ჩადიან ფსონს, ვიდრე 20 წლის წინ. რამ განაპირობა ეს?***

— ახალი თაობა წამოვიდა, რომელიც ჩვენ არ გვგავს. როდესაც პარმაში მივედი და გასახდელში აღმოვჩნდი, იმდენად მორიდებული ვიყავი, რომ გამარჯობის თქმა მიჭირდა. რამდენიმე თვე უნდა გასულიყო, რომ თავი კომფორტულად მეგრძნო. დღეს მოდის 18 წლის ფეხბურთელი და მეორე დღეს ისე გელაპარაკება, თითქოს შენი ბავშვობის მეგობარი იყოს. სხვა თაობაა და ესენი მზად არიან ყველაფრისთვის.

***— გასახდელში თუ გიგრძვნიათ თავი მოხუცად?***

— როდესაც ჩემი თანაგუნდელები სოციალური ქსელის ენაზე ლაპარაკობენ და იყენებენ ტერმინებს, რომლებშიც ვერაფრით გავერკვიე, მაშინ მართლა ვგრძნობ, რომ ასაკში ვარ. მეც მაქვს ტვიტერი და პერიოდულად ფოტოებს ვაქვეყნებ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ამაში ოჯახის წევრები მეხმარებიან.

***— მეკარე თუ იღებს თამაშისგან ისეთივე სიამოვნებას, როგორც, მაგალითად, თავდამსხმელი?***

— პირადად მე ყველაზე დიდ სიამოვნებას ვიღებ მაშინ, რიდესაც მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა მესმის და ვიცი, რომ თამაში მოგებულია. ეს მეკარეების ხვედრია. მიუხედავად ამისა, არაფერზე გავცვლიდი ჩემს ამპლუას და 12 წლის რომ ვიყო, ისევ კარში ჩავდგებოდი.

# თომას მიულერი: „მარტო ვერ ვთამაშობ, გუნდი მჭირდება“



ბუნდესლიგაში მიმდინარე სეზონში 27 წლის შემტევ ნახევარმცველს თომას მიულერს მხოლოდ 1 გოლი აქვს გატანილი. როგორც ჩანს, მიულერი გუნდის თამაშით არის გაღიზიანებული და ამტკიცებს, რომ მოწინააღმდეგეთა კარს კვლავ დალაშქრავს, როდესაც მისი თანაგუნდელები უფრო კომბინაციურ ფეხბურთს ითამაშებენ და სახიფათო მომენტებს შექმნიან.

თომას მიულერი:

— ბაიერნი სატურნირო ცხრილის თავშია მოქცეული, მაგრამ თავის სტანდარტებს და შესაძლებლობებს ყოველთვის არ ან ვერ ამჟღავნებს, როგორც ეს წინა სეზონებში იყო.

ჩემი სათამაშო ფორმა საჯარიმოსთან თანაგუნდელების კომბინაციურ თამაშზეა დამოკიდებული. არ შემიძლია გამოვამჟღავნო ჩემი ძლიერი მხარეები, როდესაც გუნდი თავის საუკეთესო თამაშს არ აჩვენებს და არ თამაშობს იმ ფეხბურთს, რომელიც შეუძლია ითამაშოს. მე იმ ტიპის ფეხბურთელი არ ვარ, რომ 5-6 მცველი დრიბლინგით ჩამოვიტოვო და ასე შევქმნა მომენტი, მე სხვა უნარ-ჩვევები გამაჩნია და ამის შესახებ მისტერ ანჩელოტიმ ბევრი ილაპარაკა.

მეტად პოზიტიური ადამიანი ვარ, მაგრამ როდესაც პრესაში ყოველდღე შენზე იწერება და ყველა შენს სიტუაციაზე საუბრობს, რომელიც წინა სეზონისგან განსხვავებულია, ნაკლები არგუმენტები მიჩნდება იმისა, რომ პრესასთან ვილაპარაკო.

# ლელო ერთპიროვნულად დაწინაურდა



8-კვირიანი არდადეგების შემდეგ „დიდი 10“ განახლდა. ლელო სარასენსმა ლოკომოტივის შეფერხებით ისარგებლა და ერთპიროვნულად დაწინაურდა.

ხუთიდან ოთხი მატჩი ხელოვნურ საფარზე გაიმართა. დაიდო 22 ლელო, რითაც საშუალო მაჩვენებელმა იმატა და 3.78 შეადგინა. იმატა უხეშობამაც — გასინბინებული იქნა 8 მორაგბე და ბევრმა მატჩის მსვლელობაზეც იმოქმედა.

ლოკომოტივს ავჭალაში 10:6 მოუგო აკადემიამ და პლეი ოფში გამავალ ექვსეულში გამაგრდა, ხოლო ლოკომოტივს პირველობისთვის ბრძოლა გაურთულა.

აკადემიის კონკურენტი, არმია, დიდ დიღომში, ბექა ურჯუკაშვილის ლელოთი და ჯარიმებით დიდხანს უგებდა ლელო სარასენსს, მაგრამ ბოლო ოთხი წლის ჩემპიონმა მაინც იმარჯვა — 27:26. არმიელთა ყველა ქულა ურჯუკაშვილმა აიღო.

ლოკომოტივის შეფერხებით მარტო ლელოს არ უსარგებლია — რკინიგზელებს გადაუსწრეს ბათუმმა და ქუთაისი აიამ.

აჭარლებმა შევარდენზე, პრემიით 40:10 მოუგეს ბოლო ადგილზე მყოფ ყოჩებს, აიამ კი გორში 18:13 დაჯაბნა ჯიქი, ვისაც ყველაზე მეტი, 8 ბონუსი აქვს მოგროვილი.

მეორე წრეში ზედიზედ მესამედ წააგო ვეება ანგარიშით ელიტის ახალბედამ, ბაგრატმა — ამჯერად შინ, არმაზთან 0:57, მაგრამ პირველ წრეში იმდენად წარმატებით იასპარეზა, რომ ჯერაც ბოლოდან მესამეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო სარასენსი | 12 | 8 | 2 | 2 | 276:204 | 41 |
| 2.ბათუმი | 12 | 9 | 0 | 3 | 272:136 | 40 |
| 3.აია | 12 | 9 | 0 | 3 | 209:161 | 39 |
| 4.ლოკომოტივი | 12 | 8 | 1 | 3 | 213:148 | 38 |
| 5.ჯიქი | 12 | 6 | 1 | 5 | 237:149 | 34 |
| 6.აკადემია | 12 | 6 | 0 | 6 | 170:172 | 28 |
| 7.არმია | 12 | 5 | 0 | 7 | 186:223 | 23 |
| 8.ბაგრატი | 12 | 3 | 0 | 9 | 167:336 | 17 |
| 9.არმაზი | 12 | 3 | 0 | 9 | 196:260 | 15 |
| 10.ყოჩები | 12 | 1 | 0 | 11 | 144:281 | 7 |

**7 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

უიგანი-ნორვიჩი ............................ 2:2

**ესპანეთი. სამეფო ....................... თასი**

ბარსელონა-ატლეტიკო ................. 1:1

**გერმანია. თასი**

ასტორია-არმინია ..................... 1:1 (4:5პ)

ჰამბურგი-კიოლნი ......................... 2:0

ბაიერნი-ვოლფსბურგი .................. 1:0

ფიურტი-გლადბახი ......................... 0:2

**იტალია. სერია ა**

რომა-ფიორენტინა ......................... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 22 | 18 | 0 | 4 | 45-16 | 54 |
| 2.რომა | 23 | 16 | 2 | 5 | 48-21 | 50 |
| 3.ნაპოლი | 23 | 14 | 6 | 3 | 55-26 | 48 |
| 4.ლაციო | 23 | 13 | 4 | 6 | 41-27 | 43 |
| 5.ინტერი | 23 | 13 | 3 | 7 | 37-24 | 42 |
| 6.ატალანტა | 23 | 13 | 3 | 7 | 36-25 | 42 |
| 7.მილანი | 22 | 11 | 4 | 7 | 32-27 | 37 |
| 8.ფიორენტინა | 23 | 10 | 7 | 6 | 38-33 | 37 |
| 9.ტორინო | 23 | 8 | 8 | 7 | 40-33 | 32 |
| 10.სამპდორია | 23 | 8 | 6 | 9 | 26-29 | 30 |
| 11.კიევო | 23 | 8 | 5 | 10 | 22-30 | 29 |
| 12.უდინეზე | 23 | 8 | 5 | 10 | 27-29 | 29 |
| 13.ბოლონია | 22 | 7 | 6 | 9 | 22-33 | 27 |
| 14.სასუოლო | 23 | 8 | 3 | 12 | 32-37 | 27 |
| 15.კალიარი | 23 | 8 | 3 | 12 | 32-48 | 27 |
| 16.ჯენოა | 23 | 6 | 7 | 10 | 27-33 | 25 |
| 17.ემპოლი | 23 | 5 | 7 | 11 | 14-31 | 22 |
| 18.პალერმო | 23 | 3 | 5 | 15 | 19-42 | 14 |
| 19.კროტონე | 22 | 3 | 4 | 15 | 20-38 | 13 |
| 20.პესკარა | 23 | 1 | 6 | 16 | 19-50 | 9 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონპელიე-მონაკო ......................... 1:2

კაენი-ბორდო ................................ 0:4

პსჟ-ლილი .................................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 24 | 17 | 4 | 3 | 70-23 | 55 |
| 2.პსჟ | 24 | 16 | 4 | 4 | 47-18 | 52 |
| 3.ნიცა | 23 | 14 | 7 | 2 | 38-18 | 49 |
| 4.ლიონი | 22 | 12 | 1 | 9 | 40-27 | 37 |
| 5.სტ.ეტიენი | 23 | 9 | 9 | 5 | 26-18 | 36 |
| 6.ბორდო | 24 | 9 | 9 | 6 | 29-28 | 36 |
| 7.მარსელი | 23 | 9 | 6 | 8 | 29-28 | 33 |
| 8.გენგამი | 23 | 8 | 7 | 8 | 28-27 | 31 |
| 9.რენი | 23 | 8 | 7 | 8 | 23-27 | 31 |
| 10.ტულუზა | 23 | 8 | 5 | 10 | 26-26 | 29 |
| 11.ნანსი | 22 | 7 | 6 | 9 | 18-25 | 27 |
| 12.ლილი | 24 | 7 | 5 | 12 | 22-30 | 26 |
| 13.მონპელიე | 24 | 6 | 8 | 10 | 33-42 | 26 |
| 14.ნანტი | 23 | 7 | 5 | 11 | 15-31 | 26 |
| 15.კაენი | 23 | 7 | 4 | 12 | 25-40 | 25 |
| 16.დიჟონი | 23 | 5 | 9 | 9 | 31-35 | 24 |
| 17.მეცი | 22 | 7 | 5 | 10 | 22-38 | 24 |
| 18.ანჟე | 23 | 6 | 5 | 12 | 19-32 | 23 |
| 19.ბასტია | 23 | 5 | 7 | 11 | 20-28 | 22 |
| 20.ლორიანი | 23 | 6 | 3 | 14 | 26-46 | 21 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ბურჟი-ლანსი ................................ 0:0

გაზელეკი-რეიმსი ......................... 1:1

კლერმონი-ბრესტი ........................ 1:1

ნიმი-ნიორი ................................... 3:0

ორლეანი-ლავალი ......................... 2:1

სოშო-ოსერი .................................. 0:1

ტრუა-სტრასბური ......................... 4:0

ტური-ამიენი .................................. 0:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-ეშტორილი .......................... 1:1

ფეირენშე-რიუ ავე ......................... 2:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ბევერენი-გენკი .............................. 0:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# ვის სჭირდება ენდოსკოპიური ქირურგია

ეკა ირემაშვილი

რა უპირატესობა აქვს ენდოსკოპიურ მეთოდს ქირურგიულ ჩარევასთან შედარებით და ჩაანაცვლებს თუ არა ის ღია სახით ოპერაციებს, პაციენტის განკურნების ამ თანამედროვე მეთოდზე თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ხელმძღვანელი, ზოგადი ქირურგი, პროფესორი მამუკა გონჯილაშვილი გვესაუბრება.

**მამუკა გონჯილაშვილი:**

– მსოფლიოში ოპერაციების ლაპარასკოპიული მეთოდი უკვე 90-იანი წლებიდან დაინერგა. საქართველოში კი პირველი ოპერაციები 1995-1996 წლებში ჩატარდა. 2000 წლიდან ეს მეთოდი უკვე გამართულად შევიდა ძალაში. იმ დროისათვის, ლაპარასკოპიული ოპერაციები, ძირითადად, ნაღვლის ბუშტის ოპერაციებით შემოიფარგლებოდა, ამის შემდეგ, პირველად, საყლაპავის თიაქარი გაკეთდა, რომელსაც მოჰყვა სპლემექტომია, თირკმელზედა ჯირკვლის ოპერაცია. ეს, ძირითადად, ამ დარგის პიონერებმა გააკეთეს.

***– ტექნიკურად რთულია ლაპარასკოპიული მეთოდით ოპერაცია, ვიდრე ქირურგიული ჩარევით?***

– არის გარკვეული ოპერაციები, რომლებიც ქირურგიული ჩარევით, ქირურგისათვის, გაცილებით მარტივია. მაგალითად, ნაწლავზე ოპერაციას თუ ღია მეთოდით 40 წუთი სჭირდება, ლაპარასკოპიულმა მეთოდმა, შესაძლოა, სამი საათი გასტანოს. ეს უფრო ძვირადღირებულია, სამაგიეროდ, პაციენტისთვის ადვილად გადასატანია, მალე ხდება მისი რეაბილიტაცია, განაკვეთი, პრაქტიკულად, რამდენიმე სანტიმეტრის არის. გაცილებით ადვილად კეთდება ლიმფოდისექცია, ამ მეთოდს პაციენტის სასარგებლოდ, დადებითი თვისებები ბევრი აქვს, მაგრამ ქირურგისათვის უფრო მარტივი ღია მეთოდია.

***– რა შემთხვევებში ტარდება მსგავსი ოპერაცია?***

– არსებობს სიტუაციები. მაგალითად, უცხოეთში, დაახლოებით, 70-80%-ში სრულდება ლაპარასკოპიული მეთოდით ოპერაციები, დანარჩენში – ვერა. ლაპარასკოპიული ჩარევისას თავისი კრიტერიუმები არსებობს. მაგალითად, პაციენტის მდგომარეობა, სიმსივნის ზომები. საქართველოში ოპერაციების მონაცემები უკუღმაა. იმიტომ, რომ ჩვენთან, პრევენციის მიზნით, გამოკვლევები და დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა იშვიათია.

უცხოეთში, წელიწადში ორჯერ იტარებენ გამოკვლევებს. ამიტომ, ადრეულ ეტაპზე აღმოაჩენენ ხოლმე პრობლემას. ჩვენთან კი პაციენტი ისეთ დროს მოდის, როცა სიმსივნე უკვე ბოლო სტადიაზე ვლინდება. ხშირად, ისეთი დიდი ზომის სიმსივნე გვხვდება, უცხოელმა სპეციალისტებმა რომ ნახონ, ალბათ, ხელსაც არ მოკიდებენ. მაგრამ ჩვენ, თუ გამოდის ლაპარასკოპიულად, ვაკეთებთ. თუ არა – მერე ღია მეთოდზე გადავდივართ. ჩვენ ხომ ორივე მეთოდს ვფლობთ. ვიწყებთ პაციენტისათვის მარტივით, თუ არა, შემდეგ ახალ მეთოდზე გადავდივართ.

***– მოთხოვნადია ლაპარასკოპიული ქირურგია?***

– ლაპარასკოპიის პიარი საქართველოში ახლა იწყება. ამ მეთოდზე ადამიანმა უნდა იცოდეს. იმ სპეციალისტებმა, რომლებმაც არ იციან, როგორ გააკეთონ ოპერაცია ლაპარასკოპიულად და პოპულარულები არიან, ძალაუნებურად, ამ მეთოდის დისკრედიტაციას ეწევიან. ჯანდაცვის ახალ პროგრამაში შესული ლაპარასკოპიული მეთოდი, მიუხედავად თავისი სიმარტივისა და გარკვეული ოპერაციების სიიაფისა, არასასურველად არის წარმოდგენილი. არადა, ინფორმაცია იმ ხალხის მიწოდებულია, ვისაც ჭკუა ეკითხება, მაგრამ ლაპარასკოპიულ ქირურგიას სათანადო დონეზე ვერ ფლობს. ყველაზე მთავარი ისაა, რომ სიტუაცია სწორად უნდა შეაფასო. ორივე მეთოდს უნდა ფლობდე და დასკვნა ისე უნდა გააკეთო. როდესაც მხოლოდ ერთი იცი, შენ უკვე მიკერძოებული ხარ.



მამუკა გონჯილაშვილი

***– რა დადებითი მხარეები აქვს ლაპარასკოპიულ მეთოდს?***

– ეს არის პაციენტის ადრეული რეაბილიტაცია, შემცირებული საწოლ დღეების რაოდენობა, პაციენტს ადვილად გადააქვს პოსტოპერაციული პერიოდი, სახლში ადრე ეწერება და ა.შ. უამრავი პოსტოპერაციული, ვენტრალური თიაქრებიც არ არსებობს, რომლებსაც ცალკე ოპერაცია სჭირდება. განაკვეთიც არ არის, ძალიან პატარაა და უფრო კომფორტულია. განსაკუთრებით, ქალბატონებისათვის.

***– შესაძლებელია, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ლაპარასკოპიულმა მეთოდმა ქირურგიული ჩარევა ჩაანაცვლოს?***

– არა, ვერ ჩაანაცვლებს სრულყოფილად. შესაძლოა, ურგენტულ ქირურგიაში ვერ ჩაანაცვლოს, რადგან ისეთი ტრავმები არსებობს, რომლებსაც ლაპარასკოპიული ქირურგიით შეიძლება ვერ გაუძლვე. მაგალითად, პარენქიმული ორგანოების ტრავმები, ღვიძლის ნახეთქები, პანკრეასის ტრავმები. რაც შეეხება ქრონიკულ, გეგმურ ქირურგიას, რასაკვირველია, აქ ყველაფერს ჩაანაცვლებს. ახლა ლაპარასკოპიულად ყველა ტიპის ოპერაცია კეთდება, ოღონდ მხოლოდ გეგმური. ურგენტული უფრო პრობლემურია ლაპარასკოპიისთვის. იმიტომ, რომ იქ, ზოგჯერ, ძალიან სწრაფი მოქმედებებია საჭირო. მწვავე აპენდიციტი, ქოლეცისტიტი, პერფორაციები და მსგავსი ოპერაციები, ლაპარასკოპიულად კეთდება 98-99%-ში, მაგრამ ტყვიით ნასროლი ჭრილობების, სისხლძარღვთა დაზიანებებისა და მსგავსი შემთხვევებისას, ღია მეთოდს მეტი უპირატესობა აქვს. რასაკვირველია, ლაპარასკოპიული მეთოდი უფრო ნაკლები საფრთხის შემცველია პაციენტისთვის, ვიდრე ქირურგიული ჩარევა, თუმცა ლაპარასკოპიულ მეთოდსაც აქვს თავისი უარყოფითი მხარეები.

***– რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს?***

– ყველა ჩარევას, რაც ადამიანის ორგანიზმში შეიძლება მოხდეს, თავისი გართულებები აქვს. მაგალითად, სანაღვლე გზების ქირურგიაში უარყოფითი ის არის, რომ შეგრძნების მეთოდია გამოვარდნილი, შორიდან უყურებ ლაპარასკოპიული ოპერაციის კეთებისას. გულ-სისხლძარღვთა სისტემის, გულის მწვავე პათოლოგიების, მოციმციმე არითმიების დროს, ამ შემთხვევაში მუცლის გაბერვა და წნევის გაზრდა გულმკერდის ღრუში, პრობლემებს ქმნის. აქვს თავისი შედარებითი უკუჩვენებები, როგორც ყველა მეთოდს მსოფლიოში, მაგრამ დადებითსა და უარყოფითს რომ შეაჯერებ, დადებითი სჭარბობს.

## კალეიდოსკოპი

## ბრიტანეთში ქურდი ტუალეტის ფანჯარაში გაიჭედა



დიდ ბრიტანეთში გაასამართლეს ქურდი, რომელიც ცდილობდა, რომ კერძო სახლში ფანჯრიდან შეეღწია და გაიჭედა.

ინციდენტი ქალაქ რეკლიფში დეკემბერში მოხდა. მაღაზიიდან სახლში მიმავალმა ხანდაზმულმა ქალბატონმა შენიშნა, რომ მისი სახლის მეორე სართულის ტუალეტის ოთახის ფანჯარა ღია იყო და იქიდან უცნობი მამაკაცი იყო გადმოკიდებული.

შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა პოლიციელებმა აღმოაჩინეს ქურდი, რომელიც 4,5 მეტრის სიმაღლეზე კედლის გარეთა მხრიდან, ფანჯარაში იყო გაჭედილი.

– ჩვენ ამის დანახვაზე გაგვეცინა, მაგრამ სახლის პატრონი მომხდარით შოკირებული იყო, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში პოლიციის ოფიცერმა რიჩარდ ჰარლენდმა.

ადგილზე მისულ მეხანძრეებს 20 წუთი დასჭირდათ მამაკაცის გასათავისუფლებლად და მისი პოლიციელებისთვის ჩასაბარებლად. მიწაზე ჩამოყვანის შემდეგ 47 წლის შონ კროშოუმ აღიარა, რომ ბინის გაძარცვას ცდილობდა. სასამართლომ მას ორი წლით და ხუთი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

შემთხვევის ადგილზე გადაღებული ფოტოსურათი ქალაქ რეკლიფის პოლიციამ ტვიტერში საკუთარ ოფიციალურ გვერდზე განათავსა.

## კრიკეტის მატჩის დროს მოედანზე ფუტკრების გუნდი შეიჭრა



ფუტკრების გუნდმა კრიკეტში სამხრეთ აფრიკისა და შრი-ლანკის გუნდების მატჩი შეაფერხა, რომელიც იოჰანესბურგში მიმდინარეობდა.

მწერებმა ორჯერ აიძულეს მოთამაშეები, თამაში შეეწყვიტათ და მიწაზე გართხმულიყვნენ. ამის შემდეგ მატჩი შეჩერდა და მოედანზე სტადიონის თანამშრომლები გამოვიდნენ.

ისინი შეეცადნენ მწერები მოედნიდან გაეყარათ, მაგრამ უშედეგოდ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფუტკრები არც მაშინ გაფრინდნენ, როდესაც მათ სოდის ხსნარი მიასხეს, ხოლო გაზონს ცეცხლმქრობი სითხე მოასხურეს.

ფუტკრების გუნდის დამორჩილება მხოლოდ პროფესიონალმა მეფუტკრემ მოახერხა, რომელმაც მწერები პლასტმასის ყუთში შერეკა. მას შემდეგ, რაც მოედანი მწერებისგან განთავისუფლდა, თამაში განახლდა.

## აკრობატი გემის აუზში 16 მეტრის სიმაღლიდან ჩახტა



ამერიკელი აკრობატი სესილი კარლტონი 16 მეტრის სიმაღლიდან ჩახტა აუზში, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი საკრუიზო ლაინერის გემბანზეა განთავსებული. ამის ამსახველი ვიდეორგოლი, რომელიც სპორტსმენის კოლეგამ სიდნი ბრაუნმა გადაიღო, ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

გამოცემის ცნობით, საკრუიზო ლაინერი მსოფლიოში ყველაზე ღრმა აუზითაა აღჭურვილი, თუმცა მისი სიღრმე არ სახელდება. მასში რეგულარულად იმართება გასართობი წარმოდგენები, მათ შორის ჰაი-დრაივერების მონაწილეობით.

ჩვეულებრივ მსახიობები და სპორტსმენები ლაინერზე გასტროლებზე ექვსიდან ცხრა თვემდე იმყოფებიან, რომლის დროსაც პროგრამას სხვადასხვა მგზავრებისთვის იმეორებენ. მსოფლიოს უდიდეს საკრუიზო ლაინერს თითქმის 5,5 ათასამდე მგზავრის მიღება შეუძლია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ასტროპროგნოზი
### 9 თებერვლისთვის



**ვერძი** – დროა, ფასეულობები საფუძვლიანად გადააფასოთ. მარტოხელებმა პარტნიორის არჩევისას დიდი სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოიჩინოთ. **კურო** – მერკურის რეგრესული მოძრაობა თქვენს ფინანსებს საფრთხეს უქადის. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომელიც, შესაძლოა, ბინის სარემონტო სამუშაოებს უკავშირდებოდეს. **ტყუპები** – დაბნეულობა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა დღის ნეგატიურ ტენდენციებს გაზრდის. ეცადეთ, სისუსტე არ გამოიჩინოთ. **კირჩხიბი** – კონკრეტული გეგმა შეადგინეთ და მისი მიხედვით იმოქმედეთ. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **ლომი** – სწორედ დღეს, შესაძლოა, თქვენი მსოფლმხედველობა მთლიანად შეიცვალოს. გელით ასევე შემოქმედებითი არეალის ცვლილება. **ქალწული** – ნებისმიერ საქმეს სრული სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. წარმატება გელით კომერციულ სფეროში, რომელსაც მერკურის კეთილისმყოფელი ზეგავლენა უზრუნველყოფს. **სასწორი** – ყოველგვარი საქმე გადადეთ და კარგად დაისვენეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **ღრიანკალი** – შესაძლოა, სამსახური ან საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოთ. ეცადეთ, ნებისმიერ ტრანსფორმაციას მშვიდად შეხვდეთ. **მშვილდოსანი** – მოგიხდებათ მოგზაურობა, მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა. კეთილისმყოფელი დღეა ხალხური მეთოდებით მკურნალობისათვის. **თხის რქა** – ზედმეტი ამბიციები მოიშორეთ და დასახული მიზნისკენ ისწრაფეთ. წარმატება თქვენს პრაქტიკულობაზეა დამოკიდებული. **მერწყული** – ცდუნებას არ აჰყვეთ. პროვოკაციული დღეა. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **თევზები** – დღის პირველ ნახევარში ინტუიციას მიენდეთ. ორგანიზმის თავდაცვითი რეაქცია ძლიერდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 2. ფინელი სატირიკოსი მწერალი; 3. ლირიკული სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 4. პირი, რომელიც უმასპიძლდება ლუდით სოფელს დღესასწაულის დროს თუშეთში; 5. ქართველი დირიჟორი; 6. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 8. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 10. ქართველი მხატვარი; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრი-წყაროს რაიონში; 14. ძლიერი სულიერი განცდის გამოვლინება; 15. ქართული ნაციონალური კერძი; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი.

**თარაზულად:** 1. პირველი ქართველი დიდოსტატი მამაკაცი ჭადრაკში; 4. სოფი ლორენის ნამდვილი გვარი; 7. წვრილი წვიმა; 9. ბელინის ოპერა; 18. მაღალხარისხოვანი პერგამენტის ქაღალდი; 13. ჰოლანდიური ყველი; 14. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 17. ადამიანის გრძნობა, განცდა, სულიერი მღელვარება; 18. რიცხვი, რომელსაც 18 ნული აქვს; 19. პატარა სამკუთხა ალამი; 20. სქელი ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის მარადმწვანე, დეკორატიული მცენარე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბარითმია; 2. სინჯი; 3. მურყვამი; 4. „რიბოკი“; 7. ბემბი; 9. სიგმა; 12. ეთნოგენეზი; 14. პოშეტი; 15. „კრაზანა“; 17. მონასპა; 20. პაქტი.

**თარაზულად**: 5. საქარინი; 6. პრუდონი; 8. ჰაჯიბეი; 10. საბოტაჟი; 11. კიუსიუ; 13. ათინათი; 16. კატალოგი; 18. ტონგა; 19. „დაფნე“; 21. „ბასტია“; 22. ანეკდოტი; 23. ტრაპეზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. „ფინო“; 2. რევიუ; 3. ალუჩა; 4. ბანკო; 5. „ბოლერო“; 6. ნიჟარაძე; 8. ინვესტიცია; 10. გენეალოგია; 11. ბალახვანი; 14. მორალი; 15. ლადარი; 16. კამიუ.

**თარაზულად**: 1. ფსირცხა; 4. ბაბილონი; 7. ნაძვი; 9. ტანგო; 12. „ტოშიბა“; 13. კვოტა; 14. „მაგატე“; 17. ლიძავა; 18. მეგალომანია; 19. დარნიცა; 20. გუბაზი.

# ჯაბა ბოჯგუა 8 წელია კომაშია



მომღერალი ჯაბა ბოჯგუა 8 წელია კომაშია. ინფორმაციას მისი მდგომარეობის შესახებ დედა, მანანა გვასალია ავრცელებს:

– 8 თებერვლის დილა იყო მაშინაც ...

„თქვენი შვილი ციხიდან ღუდუშაურში გადაიყვანეს, კომაშია...“

მერე იყო საავადმყოფოს კედლები, მკაცრი ბადრაგი, ექიმების გადაწყვეტილი დიაგნოზი, ტელევიზიები, სიუჟეტები, მეგობრები, მამა სოკრატეს პარაკლისი, .....მხოლოდ დედას სჯეროდა, რომ ჯაბა გამოვიდოდა კომიდან...

მას მერე 8 წელი გავიდა... დიახ, 8 წელი!!! ჯაბა ისევ კომაშია... დედა ისევ ელოდება, დედას იმედი არ დაუკარგავს... უვლის, ეფერება. დედა და დედის სიყვარული ხომ ყოვლისშემძლეა... გილოცავთ დავითობას! შეგეწიოთ მადლი და ძალა!

პ.ს. ჯაბა ბოჯგუა 29 წლიდან კომაშია. როგორც დედამისი ირწმუნება, მომღერალს სასიკეთო ცვლილებები აქვს, ის ყველაფერს გრძნობს და ესმის, თუმცა კონტაქტში შემოსვლა და საუბარი არ შეუძლია.

# დაიხურა თუ არა „წითელი ზონა“?




საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორმა ვასილ მაღლაფერიძემ დაინტერესებულ საზოგადოებას ტელევიზიის განვითარების ხედვა წარუდგინა.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ პირველ არხზე არსებული გადაცემები იხურება. დახურულ გადაცემათა ჩამონათვალში მოხვდა გადაცემა „წითელი ზონაც“.

გადაცემის ავტორმა გოგი გვახარიამ ამ თემასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა:

– კვაზისააგენტოები ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს გვახარიამ საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე დაწერა, რომ ამ შაბათს „წითელი ზონის“ ბოლო გადაცემა გადის.

რაც სიცრუეა – ჩვენ ვაგრძელებთ ძველებურად მუშაობას, უკვე მზად გვაქვს 5 გადაცემა... და გავაგრძელებთ, სანამ „რადიო თავისუფლება“ ოფიციალურად არ მიიღებს წერილს გადაცემის დახურვის, თუ შეჩერების შესახებ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სალომე კორკოტაშვილმა ამერიკაში წასასვლელი ფული შეაგროვა



მომღერალმა სალომე კორკოტაშვილმა ამერიკაში წასასვლელი თანხა შეაგროვა.

ქართველმა მომღერალმა 15.000 მომღერალში ერთ-ერთ კონკურსში გაიმარჯვა და ამერიკაში გასამგზავრებელი თანხის შეგროვებას ცდილობდა.

საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობდნენ მომღერლები მთელი მსოფლიოდან, ხმის ჩამწერმა სტუდიამ კი სწორედ სალომე შეარჩია, რომლის სასცენო ფსევდონიმია სალიო.

გამარჯვებულმა სალომემ სტუდიის სრული მომსახურების პაკეტი მიიღო, მას სიმღერას პროფესიონალურ სტუდიაში ჩაუწერენ, არანჟირებაზე კი „გრემის“ მფლობელი მუსიკოსი როს პეტერსონი იმუშავებს. როცა კომპოზიცია მზად იქნება, მას ამერიკის მასშტაბით 100-მდე რადიო დაატრიალებს.

იმისთვის, რომ ქართველი მომღერლისთვის ეს ყველაფერი რეალობად ქცეულიყო, მომღერალი თებერვალში აუცილებლად უნდა გამგზავრებულიყო აშშ-ში, კერძოდ, მერილენდში. მომღერალს გასამგზავრებლად ბილეთის თანხა და სამი კვირის განმავლობაში ქვეყანაში ცხოვრების ხარჯების ანაზღაურება სჭირდებოდა.

სოციალურ ქსელში სალომეს კოლეგებმა და გულშემატკივრებმა სპეციალური მიმართვაც გაავრცელეს, სადაც ყველას მოუწოდეს, დაინტერესებულიყვნენ ქართველი მომღერლის წარმატებით და მისთვის ფინანსური დახმარება აღმოეჩინათ.

ინფორმაცია ფინანსების მობილიზების შესახებ სალომემ თავად გაავრცელა და პირობაც დადო, რომ უახლოეს მომავალში ყველა იმ ადამიანს დაასახელებს, ვინც მის გამგზავრებას ხელი თუნდაც მცირედით შეუწყო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი



# მიანმიში ბუდისტ ბერს მილიონობით მეტამფეტამინი აღმოუჩინეს

მიანმიში დააპატიმრეს ბუდისტური მონასტრის წინამძღვარი, რომელიც ეკლესიაში მეტამფეტამინის 4,6 მილიონზე მეტ აბს მალავდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილების პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც ქალაქ მაუნგდაუს შესასვლელში მორიგეობდნენ, გააჩერეს ავტომობილი, რომელში ორი ბუდისტი ბერი იმყოფებოდა: არსარის მონასტრის წინამძღვარი და მისი მორჩილი.

მანქანის ჩხრეკის დროს მასში 400 ათასი მეტამფეტამინის აბი და ტყვია-წამალი აღმოაჩინეს. ბერები ადგილზევე დააკავეს. ამის შემდეგ პოლიცია არსარის მონასტერშიც მივიდა და ჩხრეკის შედეგად კიდევ 4,6 მილიონი აბი ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღო.

აღსანიშნავია, რომ ეს ამ რეგიონის ისტორიაში პირველი ასეთი შემთხვევაა. მაუნგდაუს სამართალდამცავ ორგანოებს აქამდე არასოდეს ჰქონიათ შეხება ბუდისტი ბერების მიერ ნარკოტიკებით ვაჭრობის ფაქტთან.

# პრინცმა ჰარიმ ძმას და რძალს სირბილში აჯობა



ბრიტანეთის პრინცებმა უილიამმა და ჰარიმ და ასევე კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტმა 50 მეტრიანი დისტანცია გაირბინეს.

ლონდონის ოლიმპიური სტადიონის მახლობლად მდებარე პარკში დაახლოებით 150-მა მორბენალმა მოიყარა თავი. ისინი იქ მარათონული გარბენის წინ სავარჯიშოდ იყვნენ მისულები, რომელიც მიმდინარე წლის 23 აპრილს მოეწყობა. მათ სამეფო ოჯახის წევრებიც შეუერთდნენ, რათა ამით საზოგადოების ყურადღება საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის მიეპყროთ.

ვარჯიშის ორგანიზატორებმა ჰარის, უილიამსა და კეიტს 50 მეტრზე გარბენში მონაწილეობის მიღება შესთავაზეს.

– ოჰ, ჩემი მყესები! – ხუმრობით დაიწუწუნა უილიამმა, როდესაც მას გარბენის წესები განუმარტეს, მაგრამ მონაწილეობაზე დათანხმდა. სამეფო ოჯახის წევრებს სპორტული კოსტიუმების ჩაცმაზე არც კი უფიქრიათ და შეჯიბრში ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილებმა მიიღეს მონაწილეობა.

პრინცმა ჰარიმ თავის უფროს ძმას გაუსწრო და ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. ფინიშის ხაზს მეორემ პრინცმა უილიამმა მიაღწია, ხოლო ბოლო მისი მეუღლე იყო, რომელსაც სირბილისთვის შეუფერებელი შემოტკეცილი ჯინსები ეცვა. გარბენის დასრულების შემდეგ კეიტი და უილიამი სიცილით გადაეხვივნენ ერთმანეთს, ხოლო ჰარიმ ძმას ხელი მხარზე მოუტყაპუნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დღის კალენდარი

## 9 თებერვალი



### წლის მე-40 დღე, ახალ წლამდე დარჩა 325 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

იოანე ოქროპირის წმინდათა ნაწილთა აღმოყვანება აფხაზეთის კომანიდან კონსტანტინოპოლს (438);.

მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი – ეს უდიდესი მამა მსოფლიო ეკლესიისა და მღვდელმთავარი ქალაქ კომანში გარდაიცვალა, როცა გადასახლების ადგილას მიემგზავრებოდა. მისი პატიოსანი ნაწილების გადასვენება კომანიდან კონსტანტინეპოლში აღესრულა 438 წელს, 30 წლის შემდეგ მღვდელმთავრის გარდაცვალებიდან, ევდოქსიას ძის იმპერატორ თეოდოსი მეორის დროს. მღვდელმთავარი იოანე ოქროპირი მხურვალე სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით სარგებლობდა ხალხში და მწუხარება მისი უდროო სიკვდილის გამო დიდხანს ცოცხლობდა ქრისტიანთა გულებში. IX საუკუნეში მღვდელმთავარ იოანე ოქროპირის წმიდა ნაწილების კონსტანტინეპოლში გადასვენების დღესასწაულისათვის საეკლესიო საგალობელიც შეიქმნა.

### დაიბადნენ:

1441 – ალიშერ ნავოი, უზბეკი პოეტი, მოაზროვნე, სახელმწიფო მოღვაწე. გარდაიცვალა 1501 წელს.

1672 – პეტრე I, რუსეთის იმპერატორი.

1700 – დანიელ ბერნული, შვეიცარიელი მათემატიკოსი.

1773 – უილიამ ჰარისონი, აშშ-ს მე-9 პრეზიდენტი.

1844 – ანატოლი კონი, რუსი ადვოკატი, მოსამართლე, პედაგოგი, მწერალი. გარდაიცვალა 1927 წელს.

1846 – ვილჰელმ მეიბახი, გერმანელი ინჟინერი, მან შექმნა „მერსედესის“ პირველი პროექტი.

1857 – ავქსენტი ცაგარელი, დრამატურგი. გარდაიცვალა 1902 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1881 – ფიოდორ დოსტოევსკი, რუსი მწერალი.

1960 – ალექსანდრ ბენუა, რუსი მხატვარი, ხელოვნების ისტორიკოსი.

1977 – სერგეი ილუშინი, რუსი ავიაკონსტრუქტორი.

### მოვლენები:

1710 წელი – პეტრე I-მა ბრძანებულება გამოსცა რუსეთში სამოქალაქო ანბანის შემოღების შესახებ.

1818 წელი – პირველად გამოვიდა კარამზინის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ რვატომეული.

1825 წელი – ჯონ ადამსი აშშ-ს მე-6 პრეზიდენტად აირჩიეს.

1867 წელი – ნებრასკა აშშ-ს 37-ე შტატი გახდა.

1893 წელი – მილანში გაიმართა ჯუზეპე ვერდის ოპერის „ფალსტაფის“ პრემიერა.

1893 წელი – პირველად მსოფლიოში „მულენ რუჟის“ სცენაზე პარიზელმა სტუდენტებმა სტრიპტიზი მოაწყეს.

1963 წელი – საბჭოთა კავშირში თვრამეტწლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს ლვოვის არქიეპისკოპოსი.

1969 წელი – აშშ-ში საცდელი ფრენა განახორციელა სამგზავრო ავიალაინერმა „ბოინგ-747“-მა.

### ღირსახსოვარი დღეები:

ლიბანი – სან მარონის ფესტივალი.

**მედიანიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე დალი ჩიტაძე, შვილები ლიკა, ხათუნა, ნესტან ბოკერიები, სიძეები პაატა შანშიაშვილი, გოჩა ძაძუა, გიორგი ცხადაძე, თხუთმეტი შვილიშვილი, რვა შვილთაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამაზ ირაკლის ძე ბოკერია**

პანაშვიდი: 8 თებერვალს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 9 თებერვალს, 14 საათზე.
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი 24, II სადარბაზო, I სართული.

კუკური და ნანა ჭკუასელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, ბრწყინვალე პიროვნება

**თამაზ ირაკლის ძე ბოკერია**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

მე-6 საშუალო სკოლის 1952 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

**თამაზ ბოკერიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

## ხუთშაბათი 9 თებერვალი

**07.00** დოკ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებნი" **08.00** ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "წიგნების თარო" **14.30** "ფერმა" **15.00, 03.20** "X სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** ტ/სერ "**მთავრობა**" **00.00** "უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**ფსკერზე** (პ.გალახერი)

**08.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **09.00** დ/ფ "იაპონია. იმპერატორი და ჯარი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** მხ/ფ "**ორი ძმა**" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ვეტერინარი**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**კოზირის ტუზები**" (ე.გარსია)

**06.30, 16.00** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" 8 სერ. **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**მოგონებები**" **01.50** მხ/ფ "**დიდი ოსტატი**" **03.45** მხ/ფ "**ოჯახური პორტრეტი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.50** გათამაშება (პსპ) **19.20, 20.03** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** პროფილი **23.30** P.S. **00.30** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**ფანბოი და ჩამ-ჩამი**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **18.00** სერ. "**სკანდალი**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** 18I **01.00** მხ/ფ "**ჯენტლმენთა თამაშები**" **02.50** მხ/ფ "**კაზანოვა**"

**06.15** სჯანი-ჩინური რელიგია **06.40** პატერიკი-მაცხოვრის ფარული მოღვაწე **06.45** დ/ფ "გარდამოხსნა" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** დ/ფ "ორი სამშობლო" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "ქარგვა" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** ტრაპეზი "კვერცხი სოკოთი" **15.50** კონცერტი **16.40** ქრისტიანული ხელოვნება "სამხედრო ისტორია ხელოვნებათმცოდნეობასთან კავშირში" **17.25** წმინდანები "წმინდა იოანე ოქროპირი-ჯვარსახოვანი გზა" **1** **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** წმინდანები "წმინდა იოანე ოქროპირი-ჯვარსახოვანი გზა" **2** **19.40** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა "წმ. ნინო ისმენს მაცხოვრის შესახებ" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** შარავანდედი-უნივერსიტეტის დაარსება,სიმონ კლდიაშვილი,დავით გვრიტიშვილი **21.30** დიდ ხარ შენ უფალო...მოსე ეგვიპტეში I **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ივერიის ეკლესია "მოციქულთა ქადაგებიდან წმინდა ნინომდე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "ჭუბურხინჯი" **00.30** დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" I ნაწ. **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" **14.30, 15.30** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.45** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მაინც ჩემი იქნები**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.45** სერ. "**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" **0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **1.30** "კონტაქტი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 თებერვლისთვის

- აშშ დოლარი — 2.6795
- ევრო — 2.877
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.344
- 100 რუსული რუბლი — 4.5546

## ამინდის პროგნოზი 9 თებერვლისთვის




## 7 თებერვლიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



სტენდალი

# წითელი და შავი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

## 10 თებერვლიდან

თედორე დოსტოევსკი

# მკვდარი სახლის ჩანაწერები



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

## ბარსელონა ესპანეთის თასის ფინალში გავიდა



ბარსელონა ზედიზედ მეოთხედ ესპანეთის თასის ფინალში ითამაშებს.

კატალონიელებმა 2 მატჩის ჯამში მადრიდის ატლეტიკო დაამარცხეს.

განმეორებითი შეხვედრა ნოუ კამპზე გაიმართა და ის ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

ანგარიში ბარსელონამ გახსნა 43-ე წუთზე. ეს ლუის სუარესმა გააკეთა.

მეორე ტაიმში მსაჯმა ბარსელონას 2 ფეხბურთელი – სერხი რობერტო და ლუის სუარესი, ატლეტიკოდან კი იანიკ ფერეირა კარასკო გააძევა. გარდა ამისა, მან ბარსელონას კარში ანტუან გრიზმანის მიერ წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩათვალა.

საბოლოოდ, ატლეტიკომ კევინ გამეიროს წყალობით ანგარიში მაინც გაათანაბრა, მაგრამ ფინალში გასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

## ბასილაშვილმა სოფიაში პირველი წრე დაძლია



საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი სოფიაში ატპ-ის ტურნირში იღებს მონაწილეობას, სადაც მან პირველ წრეში მსოფლიოს 56-ე ჩოგანი ადრიან მანარინო 2 სეტში, დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა, 7:6, 7:6.

შეხვედრა თითქმის 2 საათს გაგრძელდა. ბასილაშვილი მერვედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე მსოფლიოს მე-8 ჩოგანი ავსტრიელი დომინიკ ტიმი იქნება.

ამ შეხვედრაში ტიმი აშკარა ფავორიტია, მაგრამ ბასილაშვილს ჰყავს ტოპ ათეულის ჩოგბურთელი დამარცხებული, ამიტომ შანსი მას ამჯერადაც ექნება.

მატჩი დღეს, 9 თებერვალს, გაიმართება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი



ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– რაიმე მხიარული ამბავი მომიყევი.

– ჩემი ცხოვრებიდან?

– არა, მხიარული!

●●●

გოგონა ახლად გაცნობილ ბიჭს ეკითხება:

– სპორტსმენი ხარ?

– ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გამოვდივარ.

– მერე რომლის მხარეს ხარ, ბერძნების თუ რომაელების?

●●●

გამოკვლევაზე მისულ მამაკაცს ექიმი ეუბნება:

– ჰოო, მარჯვენა ფილტვის ამოკვეთა მოგვიწევს!

– რას ამბობ, ექიმო, ფილტვებზე პრობლემა არასოდეს მქონია.

– ფილტვები ახლაც ჯანმრთელი გაქვს, მხოლოდ ეგაა, რომ ღვიძლი ველარ ეტევა თავის ადგილზე!

●●●

ქმარი დილით ადრე ბრუნდება სახლში და ცოლს ეუბნება:

– ორი ახალი ამბავი მაქვს, ცუდი და კარგი. რომლით დავიწყო?

– ცუდით.

– მთელი ჩვენი ქონება კაზინოში წავაგე.

– და კარგი რაღაა?

– კაზინო ჩემი ყოფილა.

●●●

სტუდენტმა შვილმა მამისგან წერილი მიიღო. მასში წერია:

„გიგზავნი ათ ლარს, როგორც შენ მთხოვე და დაიმახსოვრე, რომ ათი ერთი ნოლით იწერება და არა ორით!“

●●●

საავადმყოფოს დერეფანში, საოპერაციოსთან მამაკაცი ნერვულად ბოლთას სცემს. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი... ბოლოს კარი გაიღო, ქირურგი გამოვიდა დამწუხრებული სახით და ეუბნება:

– თქვენთვის ცუდი ამბავი მაქვს, ოპერაციის მესამე საათზე, დედათქვენი...

– დედაჩემი კი არა, სიდედრია!

– მაშინ უნდა გახაროთ, რომ ოპერაციის მესამე საათზე...

●●●

ორი დაქალი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენ რა, ფეხმძიმედ ხარ?

– ჰო.

– კი მაგრამ, ვისგან?

– ჩემი ყოფილი ქმარი იყო მოსული ბოდიშის მოსახდელად, ორ ბავშვთან ერთად რომ მიმატოვა და...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.






## 9 თებერვლიდან

ნიკო ლომოური

# პაწია მეგობრები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 8 თებერვლიდან

# ქართლის ცხოვრება

მე-3 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## რეალი დე ხეას არ ეშვება



მადრიდის რეალი ისევ ცდილობს, მანჩესტერ იუნაიტედის ესპანელი მეკარე დავიდ დე ხეა გადაიბიროს.

რეალი 2015 წელს ახლოს იყო დე ხეას ყიდვასთან, მაგრამ ტექნიკური ხარვეზების გამო, ეს ტრანსფერი არ შედგა.

ამჯერად რეალი მზად არის, მანჩესტერს 65 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადოს და დე ხეა ამავე ზაფხულში იყიდოს, თუმცა ინგლისელები ყაბულს არ არიან და დე ხეასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებენ.

თვითონ დე ხეას ჯერჯერობით ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

## ჯაბა კანკავა გაზელეკ აიაჩოსთან მოედნიდან გააძევეს



ქართველი ლეგიონერი ჯაბა კანკავა, რომელიც ამჟამად საფრანგეთის მეორე დივიზიონის გუნდის რეიმსის ღირსებას იცავს, გაზელეკ აიაჩოსთან შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს.

ეს მეტად უცნაურ გარემოებაში მოხდა. კანკავას უკვე ჰქონდა ყვითელი ბარათი, როდესაც მწვრთნელმა მისი შეცვლა გადაწყვიტა. როდესაც კანკავა მოედნიდან გადიოდა, მსაჯმა ჩათვალა, რომ ის ამას მეტისმეტად ნელა აკეთებდა, ამიტომ მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და გააძევა.

საბოლოოდ ის შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა.

რეიმსი მეორე დივიზიონის ლიდერებშია და, შესაძლოა, ეს გუნდი მომავალ წელს ისევ უმაღლეს ლიგაში ვიხილოთ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჰავაის კუნძულების ადამიანის ტრადიციული ცენტრი; 2. ბუღალტერიაში – სხვაობა შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის; 3. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 4. მწყრის ბარტყი; 7. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 9. მოძღვრება ზნეობისა და მორალის შესახებ; 12. ნივთიერება, რომელსაც გამოიმუშავებს თირკმლისზედა ჯირკვალი; 14. თვრამეტი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი ამერიკელი მოცურავე მამაკაცი; 15. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 17. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 20. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ერაყის ნავსადგური.

**თარაზულად:** 5. საკონდიტრო ნაწარმი; 6. ხურდა ფული ბრაზილიაში; 8. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 10. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 13. ხეივნიანი, ფართო ქუჩის, პროსპექტის სახელწოდება სამხრეთ ამერიკაში; 16. სახელმწიფო შუა-აზიაში; 18. ხის, ზედა განტოტვილი ნაწილი; 19. ბრინჯისგან მომზადებული კერძი; 21. გოეთეს ტრაგედია; 22. უბანი თბილისში; 23. ქალთა ჯგუფური ცეკვა კაბარეში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი